კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სტუდენტი ვახტანგ ცერცვაძე

„რუსეთის ფედერაციის ოპერატიული-სტრატეგიული სარდლობა „სამხრეთი“, როგორც კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ასიმეტრიული სამხედრო გამოწვევა“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო

ურთიერთობებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ვახტანგ მაისაია, პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2019

Annotation

"Operative Strategic Command of Russian Federation "South" as an Asymmetric Military Challenge for the Caucasus Regional Security".

Modern decisions and activity of Russian Federation operational and strategic command causes serious concerns on the international level. Official Moscow uses non-standard methods to achieve and implement states geostrategic ambitions. Russian policy towards global sociaty considers expansion of the power and Russian ideology; however, the first step is to subdue the states with common boarders. The threat of Russian agressive political expansion covers all geographicly close countries and South Caucasus is on the first line among them. To consider this fact, the most important aspect of Caucasian Regional Security directly depends on the decisions made by the Kremlin.

Thesis' research describes Russian Federation Military Doctrine, as well as the startegy of Valery Gerasimov, which adverts to the benefits of Russian "soft power" methods. Besides, thesis contains the elements of "Security Diსაფრთხის ქვეშlema" among of the Russian Federation frontier states. The research subject refers to the circumstances of Hybrid Warfare and Russian strategic interests and methods used in Caucasian Region.

Thesis concluded key aspects of USA – Russian historical confrontation through the analysis of todays' situation and Caucasus Regional Security perspective.

Vakhtang Tcertcvadze

ანოტაცია

რუსეთის ფედერაციის ოპერატიული-სტრატეგიული სარდლობის გადაწყვეტილებები და ღონისძიებები დიდ აღშფოთებას იწვევს საერთაშორისო საზოგადოებაში. ოფიციალური მოსკოვი იყენებს არასტანდარტულ მეთოდებს, თავიანთი გეოსტრატეგიული ამბიციების რეალიზაციის მიზნით. რუსეთის ფედერაციას სურს თავიანთი გავლენის გავრცელება მთელ მსოფლიოში, მაგრამ ამისთვის ჯერჯერობით საჭიროა მეზობელი სახელმწიფოების დამორჩილება და პრორუსული პროპაგანდის გავრცელება მოსაზღვრე ქვეყნებში. საფრთხის ქვეშ იმყოფება სახელმწიფო, მათ შორის კავკასიის ქვეყნებიც. აქედან გამომდინარე, კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ოფიციალური კრემლის გადაწყვეტილებები.

კვლევაში განხილული არის რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინა და ვალერი გერასიმოვის სტრატეგია, რომელიც გვაჩვენებს ოფიციალური მოსკოვის ომის წარმოების მეთოდებს და „რბილი ძალის“ გამოყენების დადებით მხარეებს. სამაგისტრო კვლევაში განხილული არის თანამედროვე მსოფლიო წესრიგის წყობა და რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე სახელმწიფოების „უსაფრთხოების დილემა“. ასევე გამოკვლეული არის ოფიციალური მოსკოვის „ჰიბრიდული ომის“ წარმოების მეთოდები და მისი გეოსტრატეგიული მიზნები კავკასიის რეგიონში.

ნაშრომში არის განხილული ამერიკის შეერთებული შტატების კონფრონტაცია რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც აისახება კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებაზე.

სარჩევი

შესავალი 5

თავი 1. ოპერატიული- სტრატეგიული სარდლობა „სამხრეთი“ და რეგიონული ჰეგემონობის ეროვნული სტრატეგია. 15

1.1. რუსეთის ფედერაციის რეგიონული უსაფრთხოების ამოცანები სამხედრო დოქტრინის თანახმად.....15

1.2. „გერასიმოვის“ სამხედრო სტრატეგია და მისი რეგიონული კონტურები. 22

1.3. ოპერატიული-სტრატეგიული სარდლობა „სამხრეთი“ როგორც სამხედრო ასიმეტრიული საფრთხე და საქართველო.....27

თავი 2. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის და საგარეო პოლიტიკა თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით- გლობალური ანალიზის დონე. 32

2.1. „უსაფრთხოების დილემის“ თანამედროვე პარამეტრები და რუსეთის გეოსტრატეგიული ამოცანები. 33

2.2. მსოფლიო წესრიგის ტრანზიცია და ახალი სამხედრო უსაფრთხოება. 37

თავი 3. „ახალი ცივი ომის“ რეგიონული გეოპოლიტიკის ასპექტები- „ თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ მოდელის დასასრული- რეგიონული ანალიზის დონე. 42

3.1. „ჰიბრიდული ომის“ თეორეია რუსეთის გეოსტრატეგიაში. 43

3.2. აშშ- რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია შავი ზღვის არეალში.....46

3.3. რუსეთის გეოსტრატეგიის ახალი მიდგომები კავკასიის რეგიონში. 49

დასკვნა.....61

გამოყენებული ლიტერატურა 66

დანართები.....71

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა. ბოლო წლების განმავლობაში, ურთიერთობები კავკასიის რეგიონისა და რუსეთს შორის არის დაძაბული და შესაბამისად ზიანი მოაქვს არამარტო ჩვენი რეგიონისთვის, არამედ მსოფლიო უსაფრთხოებისთვის. რუსეთის ფედერაცია ატარებს წვრთნებს კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში, როგორებიცაა „კავკაზ-2009“ და ამავე დროს ატარებს სამხედრო წვრთნებს ოკუპირებულ აფხაზეთში და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში", ასევე ქმნის სამხედრო ოპერატიულ- სტრატეგიულ დაჯგუფებებს ჩრდილო კავკასიაში. რუსეთის ფედერაციის ოპერატიული სარდლობის გააქტიურება კავკასიის რეგიონში არ არის შემთხვევითი მოვლენა, ის ისახავს მიზნად რუსეთის გავლენის და კონტროლის მექანიზმების გაზრდას ამ რეგიონში და შეიძლება ითქვას ერთგვარი შემაკავებელი ძალაა. რუსეთის ფედერაცია ეძებს მხარდამჭერებს (მაგ: თურქეთი, ირანი), რომლებიც ხელს შეუწყობენ კავკასიის დესტაბილიზაციაში. რუსეთისთვის კავკასიის რეგიონის გაერთიანება და გაძლიერება არის მიუღებელი და აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის ფედერაციის ოპერატიული- სტრატეგიული სარდლობის გადაწყვეტილებები იქნება კავკასიის რეგიონის მთავარი გამოწვევა.

როდესაც ვლადიმირ პუტინი გახდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი 2000 წელს, ქვეყნის სამხედრო დარგი თანდათან ძლიერდებოდა. სახელმწიფოში განხორციელდა მასშტაბური რეფორმები სამხედრო განათლებაში, ჯარის გადამზადებასა და მართვის ოპტიმიზაციას. ჯარში დაიწყო ახალი კადრების მოწვევა და შემოვიდა ახალი შეიარაღება. ყველაზე მასშტაბური განვითარება შეეხო სამხედრო სტრატეგიას, რომლის საშუალებით რუსეთის ფედერაცია ზრდის თავიანთ გავლენას კავკასიის რეგიონში. „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგია არის ოფიციალური კრემლის მთავარი აღმოჩენა, რომლის საშუალებით ის ანგრევს სახელმწიფოების შიდა წყობას, რათა შექმნას იქ თავისთვის ხელსაყრელი გარემო. მსგავსი ახალი სახის ომი ოფიციალურმა განახორციელა რამოდენიმე სახელმწიფოში, მაგალითად, საქართველოში, უკრაინაში.

რუსეთის ფედერაცია თავისი ქმედებებით არღვევს მსოფლიო წესრიგს, რასაც მოჰყვება მოსახლეობის აღშფოთება. თავიანთი პოზიციების გასამყარებლად, ოფიციალურმა კრემლმა უნდა მოახდინოს გავლენა სამეზობლო სახელმწიფოებზე. აქედან გამომდინარე კავკასიის სახელმწიფოების უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. ოფიციალური კრემლი იყენებს ყველანაირ საშუალებას, რათა დაარღვიოს თავიანთი სამხრეთ მეზობლების სახელმწიფო წყობა. შესაბამისად ეს თემა დღესდღეობით აქტუალურია და საჭიროებს განხილვას.

აღნიშნული კვლევის კითხვებს წარმოადგენს:

- რა გავლენებით და ფაქტორებით განისაზღვრება რუსეთის ხელმძღვანელობის რეგიონული პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია სამხედრო- სტრატეგიულ კონტექსტში?
- რატომ განიხილება რუსეთის ოპერატიული- სტრატეგიული სარდლობა, როგორც ასიმეტრიული გამოწვევა და რა ფაქტორები უწყობს ხელს ამას?
- რა გავლენას ახდენს ეროვნული თავდაცვის დაგეგმარება რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაზე?

საკვლევი კითხვების გაანალიზების შედეგად ჩამოყალიბდა კვლევის ჰიპოთეზა:

რუსეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესში, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში დიდი როლი, ეროვნული უსაფრთხოების პროცესის დაგეგმვის საქმეში, ენიჭება ე.წ. „ხისტი ძალის“ ფაქტორს. აღნიშნული კი თავის მხრივ განსაზღვრავს ქვეყნის აგრესიულ და შემდეგ თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის ამოცანების და მიზნების შემუშავებას და რეალიზაციას 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ფარგლებში.

კვლევაში გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: საექსპერტო გამოკითხვის, სოციალური კვლევის მეთოდები, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, კონკრეტული შემთხვევის ანალიზი (Case- study) და შედარებითი ანალიზის მეთოდი.

კვლევის მიზნებს წარმოადგენს:

- რუსეთის ფედერაციის თავდაცვის და საგარეო პოლიტიკის შესწავლა;
- აშშ-სა და რუსეთის ფედერაციის შორის კონფრონტაციის გავლენის გაანალიზება შავი ზღვის ქვეყნების უსაფრთხოებაზე;
- რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის შესწავლა და გაანალიზება კავკასიის რეგიონის მიმართ.

კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

- რუსეთის ფედერაციის ოპერატიული-სტრატეგიული სარდლობის „სამხრეთი“ შემდგომი მოქმედების განსაზღვრა;
- კავკასიის რეგიონის წინაშე არსებული საფრთხეების და რისკების ასახვა;
- განვსაზღვროთ თუ რა გამოწვევებს უქმნის რუსეთის ოპერატიული-სტრატეგიული სარდლობა „სამხრეთი“ საქართველოს.

აღნიშნული კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ჰენრი ჟომინის თეორიას, ჰენრი დიტრიხ ბიულოვის სამხედრო თეორიას, სადაც მოხდება ჰ.დ. ბიულოვის სამხედრო თეორიული მიდგომების ასახვა რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაში, ასევე გამოყენებული იქნება კლასიკური რეალიზმის თეორია, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ისეთ ნორმატიულ ფასეულობებს, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოება და სახელმწიფოს თვითგადარჩენა, კოპენჰაგენის სკოლის „სექიურითიზაციის“ კონცეფცია, აგრეთვე გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდოლოგია, როგორიცაა „ხისტი ძალის“ თეორია, ძალთა ბალანსის თეორია- ერთ- ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში, თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია, რომელიც პოპულარული გახდა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს.

ჰენრი დიტრიხ ბიულოვი (1760-1806) იყო პრუსიის გვარდიის ოფიცერი. როდესაც მან გაიგო საფრანგეთში არსებულ რევოლუციის შესახებ, მან მაშინვე დატოვა

სამხედრო სამსახური. ასევე ის მონაწილეობდა ჰოლანდიელების წარუმატებელ აჯანყებაში, რომელიც მიმართული იყო ავსტრიელების წინააღმდეგ.

ჰენრი დიტრიხ ბიულოვმა თერთმეტ პრინციპში ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი და უმთავრესი თეზისები ომის შესახებ. თავის ნაშრომში ის რამოდენიმე ტერმინს იძლევა ისეთ ცნებებს, როგორებიცაა ტაქტიკა, სტრატეგია, ოპერაციული ბაზისი, საომარი ოპერაცია, ოპერაციის სუბიექტი და ობიექტი.

ბიულოვის პრინციპები გამოიყურება შემდეგნაირად:

<u>პრინციპი პირველი:</u> ახალი არმიების არსებობა შესაძლებელია, თუ ისინი მოიმარაგებენ თავიანთ მაღაზიიდან, და მათი გადაადგილება განისაზღვრება მათი მაღაზიებით;

<u>პრინციპი მეორე:</u> მთავარი მაღაზია, რომლის მეშვეობით არმია თავს იკმაყოფილებს არის ოპერაციის ფუნდამენტი და სუბიექტი;

<u>პრინციპი მესამე:</u> ოპერაციები, რომლებიც განლაგებულები არიან ერთ საოპერაციო ხაზზე, რომელიც ბაზირებულია ერთადერთ ოპერატიულ სუბიექტზე, მტრის ქვეყნაში შეჭრის დროს, ვერ მოგვიყვანს წარმატებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე ვერ გაგვიწევს სათანადო კონტრქმედებებს;

<u>პრინციპი მეოთხე:</u> თავდაცვითი ომში არ უნდა განთავსდეს უშუალოდ მტრის წინ და პასიურად მოიგერიო მისი შეტევები, უნდა აირჩიო ფლანგური პოზიციები და შემდგომ შეტევით ქმედებებზე უნდა გადახვიდე. მოწინააღმდეგის ფლანგის და ზურგის მიმართ უნდა განხორციელდეს მოქმედებები, რომელთა მიზანია მტრის არმიის მომარაგების ხაზები;

<u>პრინციპი მეხუთე:</u> სამკუთხედის ფორმის ოპერაციებს, რომლებსაც წვერი კუთხე 60° ან ნაკლებია და ამავ დროულად მოწინააღმდეგე იყენებს თავის უპირატესობის ხერხებს, არ უნდა ქონდეს წარმატება, არასაკმარისი ბაზირების გამო;

<u>პრინციპი მეექვსე:</u> ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებების მქონე ოპერაციის ხაზები, მიმართული ცენტრიდან წრისკენ ანდა მცირე წრიდან უფრო დიდისკენ,

ასევე ქმნიან არა მომგებიან ოპერაციულ ხაზებს, თუ მოწინააღმდეგე იყენებს უახლოესი საომარი სისტემის წესებს;

<u>პრინციპი მეშვიდე:</u> პარალელური ოპერაციული ხაზები, მიმართული რამდენიმე ოპერაციული სუბიექტიდან თანაბარი რაოდენობის ობიექტების წინააღმდეგ, ასევე სუსტად პასუხობს სწორი ომის თეორიის მოთხოვნებს;

<u>პრინციპი მერვე:</u> ოპერაციული ხაზები რომლებიც ქმნიან 90° -იან ან უფრო მეტ სამკუთხედს, ბაზირებულია საკმარისად წარმატებით;

<u>პრინციპი მეცხრე:</u> ჩვენი კვლევიდან გამომდინარეობს შემდეგი, იმისთვის რომ ბაზისი იყოს მომგებიანი, უნდა შეზნექილი ფორმით მოიცავდეს მოწინააღმდეგის ბაზის; თუკი ჩვენი და მოწინააღმდეგის ბაზისები პარალელურია, მაშინ ჩვენი ბაზისი უფრო გრძელი უნდა იყოს; ამისგან განსხვავებით ოპერაციული ბაზისი რომელიც ამოზნექილია, ან მოკლეა მოწინააღმდეგის ბაზისზე წარმოადგენს არასახარბიელოს და უპირატესობას აძლევს მოწინააღმდეგეს.

<u>პრინციპი მეათე:</u> ბაზისიდან უკან დახევა ერთი ოპერაციული ხაზით არ პასუხობს, არც თეორიას და არც უახლესი ომის სისტემას;

<u>პრინციპი მეთერთმეტე:</u> ერთადერთ სწორ უკან დახევას წარმოადგენს, პარალელური და ექსცენტრიული ოპერაციული ხაზებით უკან დახევა.

კლასიკური რეალიზმის თეორია.

კლასიკური რეალიზმი ბატონობდა ბიჰეივიორისტულ რევოლუციამდე. ის ეყრდნობა ისეთ ნორმატიულ ფასეულობებს, როგორებიცაა სახელმწიფოს თვითგადარჩენა და ეროვნული უსაფრთხოება. კლასიკური რეალიზმის წარმომადგენლები თავიანთ თეორიებს აფუძნებდნენ ადამიანის მალულ ხრიკებზე და მათი თანდაყოლილ ბოროტებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიის წარმომადგენლები სხვადასხვა ეპოქაში ცხოვრობდნენ.

სექიურითიზაციის კონცეფცია.

სექიურითიზაცია არის კონცეფხია, რომელიც იყო შექმნილი კოპენჰაგენის სკოლის ფარგლებში, აღნიშნული თეორიული კონცეფცია იკვლევს უსაფრთხოების საკითხებს პროცესის თვალსაზრისით, რომელშიდაც აქტორი (სახელმწიფო) ნებისმიერ პრობლემას განიხილავს, როგორც თავიანთი ქვეყნის უსაფრთხოების გამოწვევას.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, 1983 წლის დასაწყისში საერთაშორისო ურთიერთობებში ამერიკელმა სპეციალისტმა ბარი ბუზანმა თავის ნაშრომში „ადამიანები, სახელმწიფო და შიში„ ჩაუყარა საფუძველი უსაფრთხოების კონცეფციის გამოკვლევისთვის. შემდეგ ბ. ბუზანმა დაისვა მიზანი, შეესწავლა თუ როგორ ემუქრება გარკვეული ობიექტს საფრთხე, როგორ არის პოლიტიზირებული კონკრეტულ კონტექსტში და შემდეგ სექიურითიზაციას ახდენს.

„სექიურითიზაციის“ თეორიის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს:

- აქტორი, რომელიც ქმნის პრობლემას (უფრო ხშირად სამთავრობო ან არასამთავრობო აქტორები, ასევე ცალკეული ინდივიდები და ჯგუფები, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ პოლიტიკასთან);
- „სექიურითიზაციის“ ობიექტი- საკითხი, ფენომენი, აქტორი, რომელსაც ემუქრება ეს თუ ის პრობლემა. „სექიურითიზაციის“ ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო (სამხედრო უსაფრთხოება); ნაციონალური სუვერენიტეტი ან იდეოლოგია (პოლიტიკური უსაფრთხოება); ნაციონალური ეკონომიკა (ეკონომიკური უსაფრთხოება); კოლექტიური იდენტურობა (სოციალური უსაფრთხოება); ბიოლოგიური სახეობები (გარემოს უსაფრთხოება);
- აუდიტორია- ყველა პროცესში ჩართულია მონაწილე, რომელსაც უწევს პრობლემის პოტენციურ საფრთხედ აღიარება.

„ხისტი ძალის თეორია“ .

„ხისტი ძალა“ არის პოლიტიკური ძალაუფლების ფორმა, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო და/ან ეკონომიკური იძულების გამოყენებასთან იმისათვის, რომ მოხდეს სხვა პოლიტიკური ძალების ქცევის ან ინტერესების კორექტირება. ტერმინი „ხისტი ძალა“ გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობების აღწერილობაში. უფრო ხშირად, ეწინააღმდეგება „რბილი ძალის“ ტერმინს, რომელიც გულისხმობს ძალაუფლების ნებაყოფლობით დამორჩილებას და დაფუძნებულია კულტურულ და პოლიტიკურ ფასეულობებზე.

ძალთა ბალანსის თეორია.

ძალთა ბალანსის თეორია გულისხმობს მსოფლიო გავლენის დანაწილება ცალკეულ ცენტრებს (პოლუსებს) შორის. ის შეიძლება მიიღოს სხვადასხვა კონფიგურაცია: ბიპოლარული, სამპოლუსიანი, მულტიპოლარული და ა.შ. ძალთა ბალანსის მთავარი მიზანია ერთი სახელმწიფოს ან ქვეყნების ჯგუფის დომინირების შეჩერება საერთაშორისო სისტემაში.

თანამშრომლობითი უსაფრთხოება.

ტერმინი თანამშრომლობითი უსაფრთხოება გახდა პოპულარული 1990-იან წლებში და უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების მკვლევარ რიჩარდ კოენს. ამ ტერმინს ძირითადად იყენებენ ჰარმონიული საერთაშორისო ურთიერთობების ასაღწერად. აღნიშნული უსაფრთხოების თეორია გულისხმობს თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. თანამშრომლობითი უსაფრთხოება წარმოადგენს ისეთ სისტემას, სადაც ყოველი სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელოვანი ინტერესების რეალიზება, დამოკიდებულია უსაფრთხოების 4 რგოლთან. (დანართი 1)

პირველი რგოლი გულისხმობს ადამიანთა უფლებების დაცვას, როგორც საკუთარ ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ;

მეორე რგოლი გულისხმობს მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნებას;

მესამე რგოლი გულისხმობს თავდაცვას გარე აქტორების მოქმედებისგან;

მეოთხე რგოლი გულისხმობს აქტიური სტაბილურობის უზრუნველყოფას სხვა რეგიონებში.

ჰენრი ჟომინი (1779-1869)

ჰენრი ჟომინის მოსაზრებით, სამხედრო სტრატეგია არის ომის რუკაზე წარმოების ხელოვნება და ოპერაციათა მთელ თეატრს მოიცავს.

„მე განვსაზღვრე სტრატეგია, როგორც რუკაზე ომის გაძღოლის ხელოვნება, როგორც ხელოვნება, მოიცვა ომის მთელი თეატრი. ტაქტიკა არის ადგილზე ბრძოლის ხელოვნება, ხელოვნება განალაგო ძალები ადგილობრივი პირობების შესაბამისად და ჩართო ბრძოლაში, ბრძოლის ველის სხვადასხვა პუნქტებში, ანუ 16-20 კილომეტრის მომცველ სივრცეზე, სადაც მათ შეუძლიათ ბრძოლის განმავლობაში მიიღონ და შეასრულონ ბრძანებები“.[1] [ჟომინი ჰ.]

აღნიშნულ კვლევას გააჩნია **პრაქტიკული მნიშვნელობა,** რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის საფეხურებზე. ასევე, ის შეიძლება გამოიყენონ მოცემულ საკითხზე მომუშავე მეცნიერებმა და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტებმა. ნაშრომის შეიძლება გახდეს ერთგვარი გზამკვლევი სახელმწიფო უწყებებისთვის, რომლებსაც დაეხმარება ამა თუ იმ საკითხების სტრატეგიული ხედვების ჩამოყალიბებაში.

[1] Жомини Г., «О стратегии», militera.lib.ru

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს, გამოყენებული იქნება ისეთი **ლიტერატურა,** რომელიც კავშირში იქნება საკვლევ თემასთან.

1. **ირაკლი გორგილაძე "გეოპოლიტიკის საფუძვლები"** გამომცემლობა „უნივერსალი" თბილისი 2009 წელი. ნაშრომი გზამკვლევს წარმოადგენს გეოპოლიტიკის სფეროში.განხილულია გეოპოლიტიკის განვითარების ეტაპები და ეპოქები.აღწერილია საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა, კონფლიქტების და ომების განხილვა საერთაშორისო პოლიტიკაში.
2. **გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია ,,21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები"**, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2017 წელი- წიგნში განხილულია უსაფრთხოების პრობლემები გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით. წიგნში არის განხილული: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და საინფორმაციო უსაფრთხოება. ასევე მოყვანილია მთავარი სექტორები რომლებიც დიდ გავლენას ახდენს ადამიანებზე.
3. **Colonel Steven C. Williamson United States Army: „From Fourth Generation Warfare to Hybryd War"**, 26 March 2009- სტივენ უილიამსონი თავის ნაშრომში წერს, რომ ომი გადადის ჰიბრიდულ ფორმაში, სადაც მოწინააღმდეგეები გამოიყენებენ ყველანაირ შესაძლებლობას, რაც მათ განკარგულებაში იქნება. ამგვარ კონფლიქტში წარმატების მისაღწევად საჭიროა მოქნილი სტრატეგიული მიდგომა, რომელიც დაფუძნებული იქნება ფართო შესაძლებლობებზე. აღნიშნული ნაშრომი გვაძლევს შესაძლებლობას, შევისწავლოთ კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირების მეთოდები.
4. **Colin S. Grey "Modern Strategy"** Oxford University press 1999- აღნიშნულ წიგნში ასახული არის სამხედრო სტრატეგიის ცვლილებადი ხასიათი და გვაჩვენებს სამხედრო სტრატეგიის მნიშვნელობას. წიგნში ახსნილია თუ რა არის სტრატეგია და როგორ მუშაობს, გვაჩვენებს როგორ განვითარდა

სამხედრო სტრატეგია. მოცემული ნაშრომი გვაძლევს შესაძლებლობას შევისწავლოთ თანამედროვე სამხედრო სტრატეგიის ხასიათი.

5. **Taras Kuzio, Paul D'Anieri "The Sources of Russia's Great Power Politics Ukraine and the Challenge to the European Order"** 2018- ეს წიგნი გვიჩვენებს რომ რუსეთმა ვერ მიიღო უკრაინის დამოუკიდებლობა , მოსკოვი განიხილავს ნარინჯისფერ და ევრომაიდანის რევოლუციებს, როგორც დასავლურ შეთქმულებას. 2014 წლის რუსეთ- უკრაინის კონფლიქტმა დაანგრია ურთიერთობები დასავლეთის სახელმწიფოებისა და რუსეთის ფედერაციის შორის და ამ მოვლენას ექსპერტებმა დაარქვეს „ახალი ცივი ომი". დასავლეთი, თავის მხრივ, თანდათან ხვდება, რომ რუსეთის ფედერაციის ანექსიები, ინტერვენციები, კიბერომები, დეზინფორმაციები, არჩევნებში ჩარევები და ა.შ. არის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის რწმენისგან, რომ რუსეთი ომობს დასავლეთთან.

თავი 1. ოპერატიული- სტრატეგიული სარდლობა „სამხრეთი“ და რეგიონული ჰეგემონობის ეროვნული სტრატეგია.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ რუსეთის ფედერაციის რეგიონული უსაფრთხოების ამოცანები, განვიხილოთ მისი სამხედრო სტრატეგია და გავაანალიზოთ რა გავლენას ახდენს ოფიციალური რუსეთის სარდლობის გადაწყვეტილებები კავკასიის რეგიონის და საქართველოს რესპუბლიკის უსაფრთხოებაზე. ამ თავში განხილული იქნება რუსეთის ფედერაციის 2000 და 2015 წლების სამხედრო დოქტრინების შედარება, სადაც აისახება ოფიციალური კრემლის საბრძოლო სტრატეგიის ცვლილება და მისი ახალი საფრთხეები, რომლებიც აწუხებს საერთაშორისო საზოგადოებას. დიდი ყურადღება მიენიჭება „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიას, რომელსაც ოფიციალური კრემლი იყენებს ბოლო წლებში და ამაში დაგვეხმარება რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ვალერი გერასიმოვის სამხედრო სტრატეგია, რომელიც იყო გამოყენებული დონბასის ომში.

1.1. რუსეთის ფედერაციის რეგიონული უსაფრთხოების ამოცანები სამხედრო დოქტრინის თანახმად.

დღევანდელი ოფიციალური რუსეთის გეგმები არის მზარდი და ამბიციური, როგორც სამხედრო, ასევე სხვა სფეროშიც. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდეგ , რუსეთის ფედერაცია დარჩა დასუსტებული და მეტად მოწყვლადი გახდა დასავლეთისთვის. რუსეთის ფედერაციას გააჩნია დიდი ტერიტორია, რომელიც მდიდარია ტყეებით, გაზით, ნავთობით, ქვანახშირით და სხვადასხვა მინერალებით. ზუსტად ბუნებრივი რესურსების სიმდიდრემ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის ფედერაციის გაძლიერებაზე. ყველაზე მეტად ეს ცვლილებები შეეტყო სამხედრო სფეროს. ოფიციალური რუსეთის მთავრობამ დაარსა სახელმწიფოში დიქტატურული რეჟიმი დემოკრატიის ილუზიით. ოფიციალურმა ხელისუფლებამ თავიანთი პროპაგანდის დაჯგუფებები შექმნა, ხელში ჩაიგდო

მასმედია, ასევე მოაქცია თავიანთი კონტროლის ქვეშ სახელმწიფო ბუნებრივი რესურსები. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება ატარებს რეპრესიულ პოლიტიკას, როგორც თავიანთი მოსახლეობის მიმართ, ასევე მეზობელ სახელმწიფოებზე. რა თქმა უნდა, კრემლი არ გაჩერდება ამ ეტაპზე და ეცდება გაატაროს თავიანთი პოლიტიკა სხვა სახელმწიფოებზე და ჩაიგდოს ეს ქვეყნები თავისი გავლენის ქვეშ.

XXI საუკუნის აღმოჩენა სამხედრო სფეროში გახდა ე. წ. „ჰიბრიდული ომი“ და ბოლო წლებში ეს ახალი საბრძოლო სტრატეგია აქტუალური გახდა საერთაშორისო ასპარეზზე ბოლო წლებში. „ჰიბრიდული ომი“ არის მტრული ქმედებების ტიპი, სადაც თავდამსხმელი არ იყენებს კლასიკურ სამხედრო შეჭრას, მაგრამ ახორციელებს ფარულ ოპერაციებს, საბოტაჟს, კიბერშეტევებს და ამბოხელების მხარდაჭერას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, რათა მოახდინოს დესტაბილიზაცია მოწინააღმდეგის მიმართ. და ზუსტად ამ საშუალებას იყენებს რუსეთის ფედერაცია ბოლო წლებში.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ- საქართველოს ომში მოხდა „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის გამოყენება. რუსეთის ფედერაცია ახორციელებდა საქართველოს ტერიტორიებზე პროვოკაციებს, აფხაზეთში დამატებითი ჯარების შეყვანით და პირდაპირი ურთიერთობების დამყარებით ე.წ. „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის მთავრობებთან, რითაც რუსეთის ფედერაციამ წარმოქმნა დიპლომატიური კრიზისი საქართველოს რესპუბლიკასთან. ამ პროვოკაციების და დაძაბულობის გავრცელების მიზანი იყო საქართველოს რესპუბლიკის საბრძოლო მოქმედებაში ჩართვა. „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგია მშვენივრად იმუშავა საქართველოს მიმართ და ამ ახალმა ტაქტიკამ დადებითი შედეგი მოუტანა რუსეთის ფედერაციას.

რუსეთის ფედერაციის ახალმა სტრატეგიამ კარგად იმუშავა საქართველოს რესპუბლიკაზე და შემდგომშიც იყენებს სხვადასხვა პოლიტიკურ კამპანიებში. დასავლეთის მიერ სანქციების დაწესებამ დიდი როლი ვერ ითამაშა რუსეთის ფედერაციის დასუსტებაში და შეჩერებაში. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა

ვლადიმირ პუტინმა ჩაიგდო ხელში ისეთი სადავეები, როგორებიცაა ოპოზიცია, საზოგადოება, მასმედია და ა.შ. რათა აწარმოოს ე.წ. „ჰიბრიდული ომი“.

ვლადიმირ პუტინის აგრესიულმა პოლიტიკამ გვაჩვენა, რომ იგი საკმაოდ კარგად და ეფექტიანად იყენებს სამხედრო შესაძლებლობებს. ეს კარგად აისახება სირიის და უკრაინის კონფლიქტებში ჩარევით. ასევე გაძლიერდა რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურები, რაც ადასტურებს მათი გავლენა ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებზე, ან გერმანიის საპარლამენტო არჩევნებზე. რუსეთის მთავარი მიზანია საერთაშორისო ასპარეზზე დაბრუნება მთავარ მოთამაშეს როლში. ამისთვის საჭიროა კონკრეტული საფრთხეების და ამოცანების მოგვარება. ოფიციალური კრემლი აქტიურად მოქმედებს, რათა საკუთარი გავლენა გააძლიეროს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება საფრთხის ქვეშა არის.

რუსეთის ფედერაციას სურს მეზობელი სახელმწიფოები თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციოს, რათა კრემლი მიიჩნევს მას საკუთარ სასიცოცხლო ინტერესების ზონად. ამისთვის საჭიროა კონტროლის მოპოვება მეზობელ სახელმწიფოების მნიშვნელოვან მიმართულებებზე: საგარეო პოლიტიკა; შიდა პოლიტიკა, ეკონომიკა, სამხედრო მიმართულება. თუ გავაანალიზებთ რუსეთის ქმედებებს და შევისწავლით კარგად მის ტაქტიკას, ჩვენ შეგვიძლია გამოვიცნოთ რა ქმედებებს მიმართავს კრემლი ზემოაღნიშნულ მიმართულებებზე გავლენის მოპოვებისთვის.[2]

საგარეო პოლიტიკის მიმართულება. ოფიციალურმა კრემლმა უნდა დაარწმუნოს საერთაშორისო საზოგადოება, რომ კავკასიის სახელმწიფოების ოფიციალური მთავრობა ატარებს საზოგადოების მიმართ თავსმოხვეულ პოლიტიკას. ამ დროს რუსეთის ფედერაცია შეეცდება კავკასიის ქვეყნების ხელისუფლებისგან გაატარებინოს რუსეთის ფედერაციისთვის საინტერესო პოლიტიკა.[3]

---

[2] ბალანიშვილი გ. “რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და საქართველოს უსაფრთხოების სისტემა”, https://www.gfsis.org/ge/blog/view/781, თბილისი, 04/01/2018, გვ.1

[3] „იქვე, გვ.1“

შიდა პოლიტიკის მიმართულება. რუსეთის მიზანია დანერგოს კავკასიაში ანტიდასავლური განწყობები და მმართველი სისტემების ფუნქციონირების მოშლა. ამაში ხელს შეუწყობს ქვეყნების შიგნით პრობლემების გაღვივება.[4]

ეკონომიკის მიმართულება. რუსეთის ფედერაციის მიზანია ამ მიმართულებაში მაქსიმალურად გაზარდოს თავიანთ ბაზარზე დამოკიდებულება. [5]

სამხედრო მიმართულება. ამ მიმართულებაში ოფიციალური კრემლის მიზანია ძლიერი პლაცდარმის შექმნა რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე ტერიტორიებზე.[6]

რუსეთის ფედერაციის დოქტრინა წარმოადგენს ოფიციალურად მიღებულ სახელმწიფო მოსაზრების სისტემას, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული დაცვის მომზადების შესახებ. რუსეთის ფედერაციის სათავეში ვლადიმირ პუტინის მოსვლის შემდეგ, ოფიციალური კრემლის სამხედრო ამბიციები თანდათან იზრდება და ამის დამადასტურებელი საბუთია რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის 2015 წლის გამომცემლობა.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მმართველობის დროს, 2000 წელს, იყო მიღებული ახალი სამხედრო დოქტრინა, რომელშიც დიდი ყურადღება ექცეოდა მეზობელ სახელმწიფოებში მიმდინარე კონფლიქტებიდან მომდინარე საფრთხეებს. ასევე საფრთხეს წარმოადგენდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO-ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია- ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 29 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რომლის მიზანს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება წარმოადგენს.), როგორც რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების დესტაბილიზაციის ფაქტორი. მაგრამ მთავარი აქცენტი გაკეთდა რუსეთის ფედერაციის არმიის რეფორმაზე.

რუსეთის ფედერაციის 2000 წლის სამხედრო დოქტრინაში იდო RMA (Revolution in Military Affairs) კონცეფცია. RMA (რევოლუცია სამხედრო სფეროში) კონცეფცია

---

[4] ბალანიშვილი გ. "რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და საქართველოს უსაფრთხოების სისტემა", https://www.gfsis.org/ge/blog/view/781, თბილისი, 04/01/2018, გვ.1
[5] "იქვე,გვ.1"
[6] "იქვე,გვ.1"

გულისხმობს მნიშვნელოვან ცვლილებებს სამხედრო საქმიანობაში, რომელიც ასოცირდება ტექნოლოგიური და ორგანიზაციული რეკომენდაციებით სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების შეცვლასთან დაკავშირებით. RMA-ს თავდაპირველი თეორეტიზაცია მოხდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ 1970-იან და 1980-იან წლებში, კერძოდ, მარშალ ნიკოლაი ოგარკოვის მიერ. ნიკოლაი ოგარკოვი RMA-ს კონცეფციას სამხედრო-ტექნოლოგიურ რევოლუციას უწოდებდა. ამ კონცეფციის თავდაპირველი განვითარების დროს, საბჭოთა კავშირის მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ გარკვეული ტექნოლოგიები, მათ შორის ენერგეტიკული იარაღი და რობოტები, 2015 წლისთვის გამოყენებული იქნებოდა. მათ მიაჩნდათ, რომ მსხვილი სახმელეთო საბრძოლო ძალების გამოყენება მომავალში მინიმუმამდე დავიდოდა. სახმელეთო საბრძოლო ძალების ადგილას კი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მოხდებოდა, რათა დომინანტები გამხდარიყვნენ საბრძოლო ველზე. RMA-ს კონცეფცია დღესაც რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის წამყვანი ძალაა, და პროგრესსაც მიაღწია ამ საკითხში. [7]

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მთავარი აქცენტი გააკეთა შეიარაღებული ძალების რეფორმირებაზე. ამ რეფორმების ძირითადი მიზანი იყო მაღალი მობილურობის ჯარის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. ახალ არმიას ენიჭებოდა მხოლოდ საჭირო ფუნქციები, კონფლიქტის შემთხვევაში ის მზად უნდა ყოფილიყო სწრაფი რეაგირებისთვის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იდეა იყო შეიარაღებული ძალების მობილიზაციის პრინციპიდან მუდმივი საბრძოლო მზადყოფნაში გადასვლა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი იყო უდიდესი პრაქტიკული გამოცდა რუსეთის ფედერაციის ჯარისთვის. ხუთდღიანი რუსულ-ქართული კონფლიქტის დროს, ცხადი გახდა, რომ ცვლილების ტემპი არასაკმარისი იყო. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა ძლიერი იმპულსი მიიღეს არმიის რეფორმირებისთვის. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების ცუდ

[7] სტატია: Revolution in Military Affairs; https://en.wikipedia.org/wiki/Revolution_in_Military_Affairs, ბოლო რედაქტირება: 23/05/2019,p.1

მდგომარეობაზე, რომელშიც ის იმყოფებოდა რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს, საუბრობდნენ რუსეთის მეცნიერები და კრიტიკოსები.[8] ერთ- ერთი მათგანი იყო სამხედრო ჟურნალისტი არკადი ბაბჩენკო, რომელი ამბობდა: „ეს იყო იგივე ჯარი, რომელიც იყო ჩეჩნეთის ომში,პირველ და მეორეში. ბიჭები, როგორც ყოველთვის, იყვნენ მშივრები, უბედური წვევამდელები, ვაშლებს კრეფდნენ გზის პირას, თითქმის ყოველი მეორე БТР-ს გვარლით მოჰყავდა კიდევ ერთი. ესე იგი, გაუნათლებელი ბრბო, გაუმართავი ტექნიკით, მშიერი ბიჭები, რომლებიც იქ გადააგდეს“[9].

2000 წელს, რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის მიღების დროს, სახელმწიფოში სიწყნარე იყო სამხედრო- პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ჭრილში, ოფიციალური მთავრობა თვლიდა, რომ დასავლეთის ქვეყნებთან დადებითი ურთიერთობები ჰქონდათ, ერთადერთ აღშფოთებას წარმოადგენდა NATO-ს გაფართოების პროცესი. 2000 წლის სამხედრო დოქტრინა იყო თავდაცვითი და არ იყო ნახსენები სიტყვები „თავდასხმა“ და „საპირისპირო ბრძოლა“. ხოლო ბირთვული ძალები და საშუალებები იყო სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტია.

2014 წლის დეკემბერში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა შეიტანა ცვლილებები სამხედრო დოქტრინაში. დოკუმენტის უმეტესი ნაწილი უცვლელი დარჩა, თუმცა სამხედრო დოქტრინის ზოგიერთი დებულება გარკვეულწილად შეიცვალა, დაემატა ან შემცირდა. [10]

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სამხედრო დოქტრინის „რუსეთის ფედერაციის სამხედრო საფრთხეების და სამხედრო მუქარების“ თავმა. „დოქტრინის მე-12-ე მუხლი ამბობს, რომ ნებისმიერ მეზობელ სახელმწიფოში

---

[8] Акылбеков К. «Военная политика России И реформирование армии в период президенства В.В. Путина (2000-2008 ГГ.)», https://cyberleninka.ru/article/n/voennaya-politika-rossii-i-reformirovanie-armii-v-period-prezidentstva-v-v-putina-2000-2008-gg, 2017, стр.1

[9] Аксенов П.; „"Толпа необученных мальчишек": как грузинская война вскрыла проблемы российской армии“; https://www.bbc.com/russian/features-44690384; цитата: Бабченко А.- военный журналист, стр.1

[10] Рябов К. «Новая Военная доктрина Российской Федерации», https://topwar.ru/66527-novaya-voennaya-doktrina-rossiyskoy-federacii.html, 13/01/2015, стр.1

ხელისუფლების ცვლილება, რომლის ინტერესები ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს წარმოადგენს საომარ საფრთხეს.“[11] „12 მუხლის „Д“ პუნქტის მიხედვით, რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევაც ომის საფრთხეს წარმოადგენს.“[12]

რუსეთის ფედერაციის დოქტრინის „თანამედროვე საომარი კონფლიქტების თავისებურებების მახასიათებელი ნიშნების“ თავში აღწერილია „ჰიბრიდული ომის“ კონცეფცია. ამ მუხლში წერია, რომ თანამედროვე ომი იწარმოება სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სხვა არასამხედრო ძალებით. აქედან დიდი ყურადღება ექცევა არასამხედრო ძალის გამოყენებას, რომელიც გამოიხატება მოსახლეობის საპროტესტო პოტენციალის გამოყენება და სპეციალური ოპერაციების სამსახურის მხარდაჭერა.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინა განსხვავდება სხვა სახელმწიფოების დოქტრინებისგან. 2014 წლის გამომცემლობის მიხედვით, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ მოქმედებს რუსეთის ფედერაციის ინტერესებში- მტერია. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამხედროსთან ერთად უფრო დიდ როლს თამაშობს პოლიტიკა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება პარალელი გაევლოს კოპენჰაგენის სკოლის „სექიურითიზაციის“ თეორიასა და რუსეთის ფედერაციის 2015 წლის ახალ დოქტრინის შორის.

სექიურითიზაციის თეორია გულისხმობს, რომ „ესა თუ ის შემთხვევა წარმოადგენს არსებით საფრთხეს და საჭიროებს დაუყოვნებლივ

---

[11] ახალაია ბ. „რუსული სამხედრო დოქტრინა – გამოცხადებული იმპერიალიზმის ქრონიკა“, https://bachoakhalaia.org/2017/11/30/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90/, 30/11/2017, გვ.1

[12] „იქვე,გვ.1“

ექსტრაორდინარულ ზომებს, სადაც ნორმატიული პოლიტიკური პროცედურების ჩარჩოების დარღვევა გამართლებულია.[13] [იურინი ა. 2016]

თუ გადავხედავთ ოფიციალური კრემლის პოლიტიკას, მას არ აწუხებს საერთაშორისო სამართალი და იყენებს სამხედრო ძალას, როცა მიიჩნევს საჭიროდ, თავიანთი გეოსტრატეგიული ინტერესების მისაღწევად.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის ახალი გამომცემლობა ორიენტირებულია პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების აცილებაზე ძლიერი მოწინააღმდეგეს შემთხვევაში და საფრთხეების გამოვლენაში, რომლებიც დგას რუსეთის ფედერაციის წინაშე და ამავდროულად, რომელსაც მიიჩნევს მოსკოვის ოფიციალური წარმომადგენლობა.

1.2. „გერასიმოვის“ სამხედრო სტრატეგია და მისი რეგიონული კონტურები.

ვალერი გერასიმოვი არის რუსეთის ფედერაციის არმიის გენერალი და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი. იგი ცნობილია, როგორც ე.წ. "გერასიმოვის დოქტრინის" შემქმნელი, რომელიც საფუძველი ჩაუყარა რუსეთის ახალი თაობის ომის კონცეფციას.

2013 წლის 27 თებერვალს გაზეთ „სამხედრო-სამრეწველო კურიერში “გამოქვეყნებული იქნა ვალერი გერასიმოვის სტატია „მეცნიერების ღირებულება წინასწარმეტყველებაში“ („Ценность науки в предвидении “). ამ სტატიის გამოქვეყნება დაემთხვა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას. ვალერი გერასიმოვმა ჩამოაყალიბა რუსეთის ომის ხასიათის და „ომის წესების“ ცვლილების არსი. ის განმარტავს თუ როგორ შეიძლება წარმატებული სახელმწიფოს ქაოსში და სამოქალაქო ომში ჩაგდება რამოდენიმე თვეში უხეში ძალის გამოყენების გარეშე. ის ხსნის რომ დღესდღეობით მთავარი ადგილი სამხედრო ოპერაციებში უკავია საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომს. მორალური ზეწოლის შედეგად შესაძლებელია მოწინააღმდეგის საზოგადოების და სამხედროების ნების გატეხვა

[13] იურინი ა., „უსაფრთხოების კონცეფციის გააზრებისთვის: ვინ და როგორ განსაზღვრავს საფრთხეს დღეს?“, http://regional-dialogue.com/security-2/, 14/06/2016, გვ.1

რაც ხელს უწყობს ჯარის დასუსტებას. ამის შედეგად კი აღარაა საჭირო მძიმე ძალის გამოყენება. ზუსტად ამ დოქტრინის გამოყენება მოხდა უკრაინაში ყირიმის ანექსიის დროს. სადაც გატეხილი იყო როგორც უბრალო ჯარისკაცების, ასევე მეთაურების ნება. 2014 წლის პროტესტების დროს კრემლი მხარს უჭერდა ექსტრემისტებს, პრორუსულ ძალებს, ულტრანაციონალისტებს და ამ გზით კონფლიქტის გაღვივებას ახდენდა, რუსეთის ფედერაცია კი ამას ყირიმის ანექსიის საბაბად იყენებდა და აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებს იწყებდა. ამ გარემოში დავუმატოთ ინფორმაციული ომი და შედეგად მივიღებთ ქაოსს და დესტაბილიზაციას სახელმწიფოს შიგნით. ამის შემდეგ კრემლი ადვილად დაამყარებს კონტროლს. უკრაინაში მომხდარი მოვლენები იყო გერასიმოვის დოქტრინის გააქტიურება.

რუსეთის ფედერაციის ახალი დოქტრინის გამოყენება პირველად მოხდა საქართველოს რესპუბლიკაში. ოფიციალურ კრემლს გააჩნია თავიანთი „ჰიბრიდული ოპერაციების“ წარმოების მეთოდები, რომელიც იყო გამოყენებული მაგალითად, საქართველოში და უკრაინაში.

თავიდან გამოყენებული იქნა კონფლიქთში ჩართულობის უარყოფა, შემდგომ ხდება საინფორმაციო, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და იდეოლოგიური საშუალებების გამოყენება ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. შემდეგი ნაბიჯია მოწინააღმდეგის ოფიციალური მთავრობის შეცდომაშ შეყვანა, შანტაჟი, მოტყუება, მოსყიდვა. შემდგომ ხდება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ზუსტი ინფორმაციის მოპოვებისთვის.

რუსეთი მხარს უჭერს გავლენის სხვადასხვა საშუალებების ფართო სპექტრს, რათა გავლენა მოახდინოს საქართველოს მთავრობაში, განსაკუთრებით საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე. რუსეთმა გამოიყენა ორაზროვანი და დივერსიული მეთოდები საქართველოს პოლიტიკაზე და საზოგადოებაზე. ეს მეთოდები მოიცავდა გარკვეულ პოლიტიკოსთა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერას, რათა პოლიტიკური და საზოგადოებრივი კლიმატი მორგებოდა რუსეთისთვის ხელსაყრელი მიმართულებით. ასევე

გამოყენებულ იქნა კიბერშეტევები და ინფორმაციული ზემოქმედების ოპერაციები.

ასევე „გერასიმოვის დოქტრინა“ იყო გამოყენებული ამერიკის შეერთებულ შტატებში. რუსეთის ფედერაცია თვლის, რომ აშშ არის მისი მთავარი მტერი. ოფიციალურმა კრემლმა იცის, რომ ის ვერ გაუწევს წინააღმდეგობას ამერიკის შეერთებულ შტატებს ვერც ტექნოლოგიურ, ვერც სამხედრო, ვერც ეკონომიკურ სფეროებში. შეიძლება რუსეთის ფედერაციამ არც მოახდინა ჰაკერული შეტევა ამერიკის საარჩევნო სისტემაზე, მაგრამ ცხადია, რომ ოფიციალურმა კრემლმა განახორციელა დეზინფორმაციის გავრცელება სოციალურ ქსელში.

ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო სისტემა არის დემოკრატიის უძლიერესი სიმბოლო მსოფლიოში. რუსეთის ფედერაციამ კი მოახდინა ამ სიმბოლოს დანგრევა თავიანთი მოქმედებებით. აშშ-ს მოსახლეობა მსჯელობს არჩევნების ლეგიტიმურობაზე და ომობს ერთმანეთში ოფიციალური კრემლის მოქმედებების გამო. ვალერი გერასიმოვი წერს: *„საინფორმაციო ბრძოლა ხსნის მძლავრი ასიმეტრიული შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას მტრის საბრძოლო პოტენციალის შემცირებისთვის“*[14]

2017 წლის 17 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ დანიშნა FBI- ს ყოფილი დირექტორი რობერ მიულერი სპეციალური პროკურორის თანამდებობაზე, რომელიც ცნობილია სამშობლოში თავისი პროფესიონალიზმით და პრინციპულობით. მის მოვალეობაში შედიოდა რუსეთის ფედერაციის ჩარევის გამოძიება აშშ-ს 2016 წლის არჩევნებში. სპეცპროკურორს უნდა განეხილა რუსეთის ფედერაციის ოფიციალური მთავრობის ჩარევის მცდელობა ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის არჩევნებშ და გამოევლინა ნებისმიერი კავშირი აშშ-ს პრეზიდენტსა დონალდ ტრამპისა და რუსეთის ფედერაციის კავშირები. [15]

---

[14] Герасимов В. «Ценность науки в предвидении», https://www.vpk-news.ru/articles/14632, 26.02.2013, стр.1

[15] Ruiz R., Landler M. “Robert Mueller, Former F.B.I. Director, Is Named Special Counsel for Russia Investigation”, https://www.nytimes.com/2017/05/17/us/politics/robert-mueller-special-counsel-russia-investigation.html, 17/05/2015, p.1

2019 წლის 29 მაისს რობერტ მიულერმა წარმოადგიბა 448 გვერდიანი დასკვნა, რომელშიც გამოძიებული იყო ოფიციალური კრემლისა და პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპის შორის სავარაუდო კავშირები. ორ წლიანი გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ დონალდ ტრამპს არანაირი კავშირი არ ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს. აშშ-ს გენერალურმა პროკურორმა უილიამ ბარმა წარადგინა გამოძიების დასკვნა ამერიკის კონგრესში. რობერტ მიულერი იტყობინებოდა, რომ რუსეთის ფედერაცია აქტიურად ცდილობდა მოეხდინა გავლენა აშშ-ს არჩევნებზე, მაგრამ დონალდ ტრამპის შტაბის და ოფიციალური კრემლის შეგნებულად თანამშრომლობა აღმოჩენილი არ იყო. გამოძიების დროს სპეცპროკურორმა რობერტ მიულერმა ბრალი წაუყენა 12 რუსეთის მოქალაქეს აშშ-ს არჩევნებში ჩარევის თაობაზე. [16]

ზოგი ერთი საერთაშორისო ექსპერტი არ თვლის „გერასიმოვის დოქტრინას“ მნიშვნელოვნად. ისინი ამბობენ, რომ ეს მხოლოდ ზუსტი ფორმულირებაა იმის, რასაც რუსეთი ყოველთვის აკეთებდა. ოფიციალური ოფიციალური კრემლი ასუსტებს მოწინააღმდეგეს და ისეთ გარემოს ქმნის, სადაც ყველა წაგებული რჩება რუსეთის ფედერაციის გარდა. ზუსტად ამაში გამოიხატება „გერასიმოვის დოქტრინის“ ძალა. რთულია ისეთ მტერთან ბრძოლა, რომელსაც ვერ ხედავ. ეს ტაქტიკა სუსტდება მხოლოდ მაშინ, როცა გაირკვევა როგორ მუშაობს რუსეთის ფედერაციის ომის მექანიზმი და რა მიზანი აქვს მას. ჩინელი მხედართმთავარი და სამხედრო თეორეტიკოსი სუნ ძი (სუნ ძი- ჩინელი მხედართმთავარი და სამხედრო თეორეთიკოსი.) ამბობდა: *„ნათქვამია, რომ მას ვინც იცნობს თავის მტერს და საკუთარ თავს, არ ემუქრება საფრთხე ასეულობით ბრძოლაშიც კი. ის ვინც არ იცნობს თავის მტერს, მაგრამ იცნობს საკუთარ თავს, ზოგჯერ გაიმარჯვებს, ზოგჯერ კი დამარცხდება. ის ვინც არც მტერს იცნობს და არც საკუთარ თავს, ყველა ბრძოლიდან დამარცხებული გამოვა.“* ამ გამონათქვამში დევს ის საშუალება, თუ როგორ უნდა ებრძოლო „ჰიბრიდულ ომს“.

[16] Hains T., “Mueller Makes First Statement: "The Report Is My Testimony," I Hope This Is The Only Time I Speak”, https://www.realclearpolitics.com/video/2019/05/29/watch_live_special_counsel_robert_mueller_to_make_statement.html, 29/05/2019, p.1

ასევე მნიშვნელოვანია მოხდეს რუსეთის ფედერაციის სამხედრო სტრატეგიის შედარება ჰენრი დიტრიხ ბიულოვის სამხედრო თეორიასთან. დიდ ყურადღებას ბიულოვი აქცევდა „ოპერაციის საფუძველს“ („მაღაზია“ბიულოვის განმარტებით). ეს არის საწყისი ეტაპი საიდანაც, ოპერაციის მსვლელობისას, მოხდება თავიანთი ძალების კონსოლიდირება.

მეორე მთავარი ცნება ბიულოვისთვის არის ოპერაციული ხაზი რომელსაც შეიძლება მეორენაირად ფრონტიც ვუწოდოთ რადგან ოპერაციის ხაზი წარმოადგენს უშუალო ოპერაციაზე გადასვლას მოწინააღმდეგესთან და მესამე ცნება ეს არის თავად ობიექტი რომლის დაკავება ან განადგურებაც გვსურს.[თ. შეშაბერიძე, 2018: 72]

ჰენრი დიტრიხ ბიულოვი მიიჩნევს, რომ ოპერაციის წარმოება ერთი ოპერაციული ხაზით იქნება წარუმატებელი, ამიტომ ის ამბობს, რომ ბაზისები უნდა შედგებოდნეს ერთიანი ჰორიზონტალური ხაზისგან და ოპერაცია უნდა განხორციელდეს ერთიანი ოპერაციული ბაზისით. ასევე უნდა იყოს გამოყენებული რამოდენიმე უკან დახევის ოპერაციული ხაზი. ჰენრი დიტრიხ ბიულოვი გამოყოფდა შეტევის ორ სახეს: პირველი იყო შეტევა სამკუთხედის მეთოდით მოწინააღმდეგის ობიექტებზე და მეორე შეტევა პარალელური ოპერაციული ხაზებით. პირველი მეთოდის არჩევის შემთხვევაში, იქმნება სამკუთხედის ფორმა და შეტევის კუთხე არ უნდა შეადგენდეს 60° ნაკლებს. ამ შემთხვევაში ბიულოვს მიაჩნია, რომ ბაზები არასაკმარისადაა განლაგებული. მეორე მეთოდი წარმოადგენს მოწინააღმდეგეს შეტევას პარალელური ოპერაციების ხაზით და ბაზისის სიგრძე თანაბარია მოწინააღმდეგის ბაზისთან მიმართებით. ამ შემთხვევაში ოპერაცია წარუმატებელი იქნება.

პარალელური ოპერაციული ხაზის შეტევისას საკუთარი საოპერაციო ხაზი უფრო გრძელი უნდა იყოს მოწინააღმდეგეზე, ამ შემთხევაში საშუალება გვეძლევა ვიმოქმედოთ მოწინააღმდეგის ფლანგებზე და ზურგში და მივაყენოთ დარტყმები მოწინააღმდეგის ბაზისებს რომელიც ბიულოვის აზრით წარმოადგენს ყველაზე

მეტად პრიორიტეტულ სამიზნეებს. ასევე ამ შემთხვევაში დაცულია საკუთარი ფლანგები და ზურგი. [თ. შეშაბერიძე, 2018: 73]

მსგავსი მოდელის საფუძველზე შეიძლება მოხდეს რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგების განხილვა სამხრეთ სამხედრო ოლქის მიმართულებაზე. რუსების ძირითადი შემტევი ბაზები განლაგებულია ერთი ჰორიზონტალურ ზოლში. ამ ბაზების განლაგება იწყება სოხუმის მექანიზებული ბაზით, შემდეგ განლაგებულია ცხინვალის და დაღესტნის შუალედური მექანიზებული ბაზები, ჩეჩნეთის სადესანტო ბაზის სახით, რომელიც საზღვარზე მდებარეობს და მთავრდება დერბენტის მექანიზებული ბაზით. საბოლოოდ იქმნება ერთიანი საოპერაციო ხაზი, რომელიც დადებით პირობებს ქმნის შეტევისთვის პარალელური ოპერაციების ხაზებით. უპირატესობა გამოიხატება აღნიშნულ საოპერაციო ხაზის საკმაო სიგრძის საფუძველზე იგი აღემატება შეტევის ობიექტების საერთო საოპერაციო ზოლის სიგრძეში და ბიულოვის განმარტებით მსგავსი შეტევის შემთხვევაში, საოპერაციო ხაზები უნდა ქმნიდეს არანაკლებ 90°. ცალკეულ ობიექტებზე სამკუთხედი მეთოდით შეტევის შემთხვევაში, შეტევის კუთხე არ ჩამოუვარდება 60°. ეს არის ბიულოვის სამხედრო თეორიული მიდგომების ასახვა რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინაში. ამ ყველაფერს ემატება ავიაცია და საზღვაო ძალები და კიდევ სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები, რომლებიც დამატებით აძლიერებენ რუსეთის ფედერაციის შეტევით სტრატეგიას.[17]

1.3. ოპერატიული-სტრატეგიული სარდლობა „სამხრეთი“ როგორც სამხედრო ასიმეტრიული საფრთხე და საქართველო.

სამხრეთის სამხედრო ოლქი არის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი დაიცვას

[17] შეშაბერიძე თ., სამაგისტრო ნაშრომი: „კლასიკური სამხედრო სტრატეგიები და მათი გეოსტრატეგიული მოდელები XXI საუკუნეში აშშ-ს და რუსეთის ფედერაციის მაგალითზე“, თბილისი, 2018, გვ. 72-74

(პირველ რიგში ჩრდილო კავკასია). სამხრეთის სამხედრო ოლქის სარდლობა განთავსებულია ქალაქ დონის როსტოვში.

ოფიციალურ კრემლს, თავის დროზე, უარი განუცხადეს „ხუთსაფეხურიანი ოპერატიული მმართველობის, ფორმის შექმნაზე, რომელიც შედგებოდა ასეულისგან, ბატალიონისგან, პოლკისგან, დივიზიისგან და არმიისგან. ეს ფორმა წარმოადგენდა ოპერატიულ- სტრატეგიულ პრინციპს. შემდგომ მოხდა გადასვლა „ოთხსაფეხურიან“ პრინციპზე, რომლის შემადგენლობა არის ბატალიონი, ბრიგადა, ოპერატიული დაჯგუფება და არმია. „ოთხსაფეხურიანი სისტემა“ უნდა ყოფილიყო უფრო ადეკვატური და მოქნილი, ასევე ის იყო ასახული რუსეთის ფედერაციის 2010 და 2015 წლების სამხედრო დოქტრინებში. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა შემდგომ შეძლო დაბრუნება „ხუთსაფეხურიან სისტემაზე“, როდესაც მან განახორციელა, „ჰიბრიდული ომის“ პირობებში, უკრაინის ტერიტორიების ანექსირება, საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება და სირიაში სამხედრო კამპანიის წამოწყება. ასევე ამაში დიდი როლი ითამაშა ვლადიმირ პუტინის მეორე ვადით არჩევა, რის შედეგად ის კიდევ 6 წელი იქმნება რუსეთის ფედერაციის სათავეში. ვლადიმირ პუტინმა განახორციელა „ხუთსაფეხურიან სისტემაში“ კორექტირება. მან პოლკი ჩაანაცვლა ბრიგადით. აქედან გამომდინარე, ახალი სისტემა არის უფრო ხისტი და შემტევი.

2016 წელს, რუსეთის ფედერაციის მედიისგან გახდა ცნობილი, რომ „დასავლეთის’ ოპერატიულ-სტრატეგიულ სარდლობაში იქმნებოდა ოთხი მოტომსროლელი დივიზია და საერთო-საჯარისო არმია. „ცენტრალურ“ ოპერატიულ- სტრატეგიულ სარდლობაში იქმნებოდა ახალი სატანკო დივიზია. „სამხრეთის’ ოპერატიულ სტრატეგიულ სარდლობაში იქმნებოდა საერთო- საჯარისო არმია, რომლის შემადგენლობაში იქნებოდა 150-ე მოტომსროლელი დივიზია.

შემდგომ, გახდა ცნობილი რომ „სამხრეთის“ პროექტი შეჩერდა, ფინანსური პრობლემების გარდა, მაგრამ 2017 წლის 3 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა შტაბმა წამოაყენა უკვე ორი დივიზიის შექმნის იდეა.

სამხრეთის სამხედრო ოლქი ჩამოყალიბდა 2010 წელს ყოფილი ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ნაცვლად. მის უშუალო დაქვემდებარებაში და შემადგენლობაში შემავალი 58-ე (1-ლი ოპერატიული სარდლობა) და 49-ე (მე-2 ოპერატიული სარდლობა) საერთო-საჯარისო არმიების გარდა, ოლქში შედის შავი ზღვის ფლოტი და კასპიის ფლოტილია, აგრეთვე საჰაერო ძალების და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მე-4 სარდლობა.

სამხრეთის სამხედრო ოლქი მოიცავს კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეებს, ვოლგოგრადს, ასტრახანს, კალმიკიის ავტონომიურ სუბიექტს და დონის როსტოვის ფედერალურ ოლქებს.

სამხრეთის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შემავალი სამხედრო ნაწილები და შენაერთები რუსეთის ფედერაციის სამი ადმინისტრაციული ერთეულის- სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიის და 2014 წლიდან ანექსირებული უკრაინული ყირიმის ტერიტორიებზეა განთავსებული. აღნიშნულის გარდა, სამხრეთის სამხედრო ოლქის 3 სამხედრო ბაზა განლაგებულია ამიერკავკასიაში- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე- მე-7 ბაზა აფხაზეთში ქ.გუდაუთაში, მე-4 ბაზა ცხინვალის რეგიონი ქ. ცხინვალსა და ჯავაში, 102-ე ბაზა სომხეთის რესპუბლიკაში ქ. გიუმრიში. საქართველოს სახელმწიფო, ჩრდილოეთ, საზღვრის მომიჯნავე ადმინისტრაციულ ოლქებში განთავსებულია - ჯამში 16 ერთეული ოდენობის სამხედრო ნაწილი და შენაერთი. ამასთან, ყაბარდო ბალყარეთისა (პროხლადნი) და ოსეთის (ვლადიკავკაზის) ტერიტორიაზე, განლაგებულია რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის „გრუ"-ს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ორი დანაყოფი. საქართველოს რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოსაზღვრე დაღესტანში, კერძოდ ქალაქ კასპიისკში, განლაგებულია რუსეთის ფედერაციის საზღვაო ქვეითთა და სანაპირო დაცვის 414-ე ცალკეული ბატალიონი და 46-ე ცალკეული სანაპირო სარაკეტო დივიზიონი.[18]

[18] ჭოველიძე ს., ნაშრომი: „რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი“, თბილისი, 2018, გვ. 3-4

რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქს შეიარაღებაში გააჩნია: ოთხასამდე ტანკი „T-27" და „T-90"; ათასამდე „ბმპ" ქვეითთა საბრძოლო და „ბმდ" დესანტის საბრძოლო მანქანა; სამასამდე „ბტრ-80" და „ბტრ-82ა" ბორბლებიანი ჯავშანტრანსპორტიორი; რვაასამდე „მტლბ", „ბტრ-დ", „ბტრ-ი" ტიპის გამწე; ოთხას ორმოცდაათამდე თვითმავალი საარტილერიო დანადგარი; ორას ორმოცდაათამდე ბუქსირებადი ქვემეხი; ორასზე მეტი ნაღმმტყორცნი; სხვადასხვა კალიბრის ორას ორმოცდაათზე მეტი ზალპული ცეცხლის დანადგარი; ასორმოცდაათზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი; ორასზე მეტი საზენიტო- სარაკეტო კომპლექსი და დანადგარი (მათ შორის „C-300B", „ბუკ"-ი, „ტორ"-ი, „ოსა" „სტრელა-10") და ორმოცდაათზე მეტი საზენიტო-სარაკეტო საქვემეხო კოპლექსი „ტუნგუსკა". სახმელეთო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის დაჯგუფების შემადგენლობაში შედის სამი საზენიტო- სარაკეტო პოლკი, მათ შორის ერთ- ერთი სამხრეთის სამხედრო ოლქში არსებული ერთადერთი სახმელეთო ჯარების, საზენიტო- სარაკეტო ბრიგადის ანალოგია და გააჩნია „ბუკ"- ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები. სამხრეთის სამხედრო ოლქის ორი საზენიტო- სარაკეტო პოლკიდან, ერთ- ერთმა (რომელიც განლაგებულია ნოვოროსიისკთან) შეიარაღებაში მიიღო საზენიტო-სარაკეტო „C-400" კომპლექსი. გარდა ამისა, სამხრეთის სამხედრო ოლქში, (ასტრახანის ოლქში), კერძოდ, ქალაქ აშულუკში, მდებარეობს საზენიტო- სარაკეტო ძალების საწვრთნელი ცენტრი, სადაც განლაგებულია „C-300П"-ის ტიპის ორი საბრძოლო დივიზიონი.[19]

რუსეთ-საქართველოს, 2008 წლის, ომის შემდეგ, ჩამოყალიბდა აფხაზეთის მე-7 სამხედრო ბაზა ქალაქ გუდაუთაში, 58-ე არმიის, 131-ე მოტომსროლელი ბრიგადის რეფორმირების შედეგად. 2010 წლის 17 თებერვალს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევმა და ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო მართველი სერგეი ბაღაფშმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთის

[19] ჭოველიძე ს., ნაშრომი: „რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი“, თბილისი, 2018, გვ. 3-4

ფედერაციის გაერთიანებული სამხედრო ბაზების შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

2009 წლიდან დაიწყო, აფხაზეთის მე-7 სამხედრო ბაზის სრული რესტრუქტურიზაცია : T- 72B ტიპის საბრძოლო ტანკები ჩაანაცვლა, ახალმა ''T90A'' ტიპის ტანკებმა. ''BTR-80'' შეცვალა ახალი ტიპის ,უკეთ შეიარაღებულმა ''BTR-80A APC'' ის ჯავშანტრანსპორტიორმა. დაემატა , 152-მმ, ''2S3 AKATSIYA'' თვითმავალი ჰაუბიცები. 122-მმ ,BM-21 გრადის ტიპის სარაკეტო სისტემები; ''Osa AKM'' ტიპის მობილური , მოკლე მანძილზე მოქმედი საჰაერო თავდაცვითი სისტემები; ''3SU-23-4 Igla'' და ''2S6M Tunguska'' ტიპის საჰაერო თავდაცვითი სისტემები აგრეთვე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, განთავსდა ''S-300'' ტიპის საჰაერო სარაკეტო სისტემები.[20]

ასევე, რუსეთ- საქართველოს ომის შემდეგ, ოფიციალური კრემლის გენერალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ცხინვალის რეგიონში განეთავსებინა მე-4 სამხედრო ბაზა, რომელიც შეიქმნა 19-ე მოტომსროლელი დივიზიის შემადგენლობის, 693-ე მოტომსროლელი პოლკის საფუძველზე, რომელიც მანამდე განთავსებული იყო ქალაქ ვლადიკავკაზთან ახლოს, ჩრდილოეთ ოსეთში.

მე-4 სამხედრო ბაზა აღჭურვილია: 41 ერთეული T-72B ტიპის საბრძოლო ტანკებით; 150 ერთეულზე მეტი ''BMP-2'' ტიპის ქვეითი საბრძოლო მანქანიებით; 152-მმ ''2S3 AKATSYIA'' ის ტიპის თვითმავალი ჰაუბიცების ორი ბატალიონით; 122-მმ ''BM-21'' გრადის ტიპის ორმაგი სარაკეტო სისტემის ერთი ბატალიონით; ''BUK-M1'' და ''2S6M Tunguska'' საჰაერო თავდაცვითი სისტემებით, რომელთა გადაიარაღების პროცესი მიმდინარეობს. მე-4 სამხედრო ბაზა განლაგებულია სამ სამხედრო დასახლებაზე, რომელთა მშენებლობაც 2008 წლის ომამდე დაიწყო, პირველი დასახლება, NQ 47/1, მდებარეობს ქ. ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთით. მეორე დასახლება, NQ 47/2, მდებარეობს ქ. ჯავადან ჩრდილოეთით 1,5 კილომეტრში, სადაც განთავსებულია საბრძოლო მასალის, საინჟინრო და საბრძოლო ტექნიკის საწყობები, აგრეთვე აშენდა ასაფრენ- დასაფრენი მოედანი,

[20] ჭოველიძე ს., ნაშრომი: „რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი“, თბილისი, 2018, გვ. 3-4

რომელსაც ერთდროულად 10-15 ვერტმფრენის მიღება შეუძლია. მე-4 სამხედრო ბაზის დიდი ნაწილი, განლაგებულია ქალაქ ახალგორის რაიონში, აღნიშნული ტერიტორია შედარებით იზოლირებულად და უსაფრთხოდ მიიჩნევა. სოფელ კენჭევითის მიმდებარედ კი განლაგებულია გადაიარაღებული მოტომსროლელი ბრიგადა. მობილური სამხედრო შენაერთები, აგრეთვე, განლაგებულნი არიან ზნაურსა და ჯავაში.[21]

რუსეთის ფედერაციის ოპერატიული- სტრატეგიული სარდლობა „სამხრეთი“ დიდ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის დღესდღეობით. ოფიციალური კრემლის საქციელი საერთაშორისო არენაზე აჩვენებს, რომ ის მზად არის გამოიყენოს „ხისტი ძალა“ თავიანთი ინტერესების დასაცავად.

თავი 2. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის და საგარეო პოლიტიკა თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით- გლობალური ანალიზის დონე.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკამ განიცადა დიდი ცვლილებები. საერთაშორისო ასპარეზზე გაჩნდა, როგორც თავანთი მიზნების მიღწევის და კონფლიქტების მოგვარების ახალი საშუალებები, ასევე დაშინების და მუქარის თანამედროვე მეთოდები. XXI საუკუნეში სახელმწიფოები იყენებენ „ეშმაკურ“ ხერხებს, რათა მიაღწიონ თავიანთ გეოსტრატეგიულ მიზანს. განსაკუთრებით კარგად გამოსდის ამ მეთოდების გამოყენება რუსეთის ფედერაციას, რომელსაც მოჰყვა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსირება, საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება და ა.შ.

ოფიციალური მოსკოვი, თავიანთი მიზნების მისაღწევად, იყენებს ისეთ ხერხებს, სადაც მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე იქმნება ისეთი პარადოქსული სიტუაცია, რომ ყოველგვარი ეროვნული თავდაცვის მოქმედებების განხორციელება, აღიქმება რუსეთის ფედერაციით, როგორც თავიანთი უსაფრთხოების საფრთხე. მსგავს სიტუაციის ფორმულირება გააკეთა 1950 წელს ამერიკელმა პოლიტოლოგმა

[21] ჭოველიძე ს., ნაშრომი: „რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი“, თბილისი, 2018, გვ. 3-4

ჯონ ჰერცმა თავის სტატიაში „იდეალისტური ინტერნაციონალიზმი და უსაფრთხოების დილემა“ („Idealist Internationalism and the Security Dilemma“)[22].

ამ თავში მნიშვნელოვანია განიხილოს რუსეთის ფედერაციის გეოსტრატეგიული მიზნები და ამოცანები. ასევე დიდ ინტერესს გამოიწვევს ოფიციალური მოსკოვის მიერ ახალი სამხედრო დოქტრინის გამოყენება, რომელიც „უსაფრთხოების დილემის“ ქვეშ აყენებს კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებს.

ასევე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება მსოფლიო წყობის საკითხი. საერთაშორისო ასპარეზზე ჩნდებიან ახალი აქტორები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილის დაკავება სურთ მსოფლიო პოლიტიკაში. მნიშვნელოვანია განიხილოს რა როლი აქვთ ყოველ აქტორს და რა მიზნების განხორციელება სურთ საერთაშორისო პოლიტიკაში.

2.1. „უსაფრთხოების დილემის“ თანამედროვე პარამეტრები და რუსეთის გეოსტრატეგიული ამოცანები.

თავიანთი სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა იყო და ყოველთვის იქნება საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი საკითხი. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ხშირად გამოყენებადი ტერმინი გახდა „ეროვნული უსაფრთხოება“. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საფრთხის დონე მოიმატა როდესაც დაიწყო ადგილობრივი და რეგიონული კონფლიქტების ზრდა. გაჩნდა ახალი გამოწვევები, როგორებიცაა ტერორიზმი, ეკოლოგიური კატასტროფა, მსოფლიო ეპიდემია და მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება. უსაფრთხოების თემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ ინტერესებთან, რადგანაც ,,ეროვნული ინტერესების“ დაცვის ლოზუნგით სახელმწიფოებს შეუძლიათ საკუთარი საზღვრების გამაგრება უცხო ქვეყნის წინააღმდეგ, მეზობლებთან თანამშრომლობის გაძლიერება ან პირიქით, შეუძლიათ სცადონ მათი დამარცხება დამპყრობლურ ომში. სახელმწიფოების მიერ უსაფრთხოების ძიება გამოიხატება თავდაცვასა ან შეტევაში, შეიარაღების შეძენაში, უფრო

[22] Herz J., “Idealist Internationalism and the Security Dilemma”, Cambridge University Press, 1950, pp. 157-180

ძლიერების მიმართ დამოკიდებულების ფრთხილ პოზიციაში, შეიარაღებულ ნეიტრალიტეტში ან იმპერიალიზმში. უსაფრთხოების გაზრდის მცდელობით სახელმწიფოები ზრდიან საფრთხისა და საპასუხო სამხედრო დარტყმის რისკს. შეიძლება ითქვას: ეს არის მოჯადოებული წრე, რომელსაც რეალისტები ,,უსაფრთხოების დილემის" დეფინიციას აძლევენ. [23]

უსაფრთხოების დილემა არის პარადოქსალური სიტუაცია, რომელშიც ერთი სახელმწიფოს ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებების მიღება, აღიქმება საფრთხედ სხვა ქვეყანაში.

უსაფრთხოების დილემას გააჩნია უფრო მეტად რეგიონული მასშტაბები, რადგანაც მისი ფენომენი განისაზღვრება რეგიონული ურთიერთობებით და გამოიხატება სამეზობლო პოლიტიკის სწორი წარმართვაში. [24]

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, "უსაფრთხოების დილემა" განმარტავს სახელმწიფოთა ქცევას თვითდახმარების ღონისძიებებით, რომელიც გამოიყენება ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში უსაფრთხოებისთვის და კეთილდღეობისთვის. საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვაზე დაფუძნებული ინსტიტუტების არარსებობის პირობებში, სახელმწიფო ცდილობს უფრო მეტ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და ამგვარად ზრდის თავიანთ უსაფრთხოების დონეს. "უსაფრთხოების დილემა" წარმოიქმნება იმიტომ, რომ სახელმწიფო აღიქვამს სხვა სახელმწიფოს დაცვის ზომებს, როგორც საფრთხეს და შესაბამისად რეაგირებს.

უსაფრთხოების დილემის დახასიათება გააკეთა ამერიკელმა ანტროპოლოგმა და სოციოლოგმა კლიფორდ ჯეიმ გირცმა. მან აღნიშნა, რომ: "ყველგან, სადაც სოციალური ანარქიაა, რომელიც კაცობრიობის ისტორიის უმეტესი პერიოდის განმავლობაში ხდება სოციალობის ნებისმიერ დონეზე, წარმოიქმნება

[23] გოგოლიძე ი., „უსაფრთოების დილემა და გლობალური გამოწვევები", https://www.atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/NewPublic/GogolidzeIrma.pdf, გვ.2

[24] მაღრაძე გ., მაისაია ვ. ,,21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები", „უნივერსალი", თბილისი, 2017, გვ. 75-76

ლიდერების, ინდივიდების ან ჯგუფების "უსაფრთხოების დილემა". ჯგუფები ან პირები, რომლებიც მსგავს ვითარებაშია, იძულებულნი არიან იზრუნონ უსაფრთხოებაზე და დაიცვან თავი თავდასხმისგან, დამორჩილებისგან ან განადგურებისგან გარე ჯგუფების და ინდივიდების მხრიდან. გარე თავდასხმისგან თავის დაცვა ხალხს სურვილს აძლევს, რომ მეტი ძალაუფლება მოიპოვონ იმისათვის, რომ აიცილონ სხვების ძალაუფლება. ეს ქმედებები, თავის მხრივ, სხვებს მოწყვლადს ხდის და მიუწოდებს ყველაზე ცუდისთვის მომზადებას. შედეგად, კონკურენტულ სამყაროში აბსოლუტურად უსაფრთხოდ თავს არავინ გრძნობს. იქმნება უსაფრთხოებისა და ძალაუფლების დაგროვების მანკიერი წრე"

ქვეყნებმა დაიწყეს სახელმწიფოთაშორისი სამშვიდობო შეთანხმებების დადება, რომლებიც უზრუნველყოფენ ურთიერთშეთანხმებული ზომების განხორციელების მონიტორინგს, წესდება სანქციები პირობების დარღვევის შემთხვევაში და, რაც მთავარია, სახელმწიფოებმა დაიწყეს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემების შექმნა. შეიცვალა თვით „საერთაშორისო უსაფრთხოების“ შინაარსი. თუ „ცივი ომის“ დროს საერთაშორისო უსაფრთხოება იდენტიფიცირებული იყო, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მდგომარეობა, რომელიც ქმნის სახელმწიფოების არსებობისა და ფუნქციონირების პირობებს, რომლებიც საჭიროა ქვეყნის ფუნქციონირებისთვის და არსებობისთვის, სუვერენიტეტის და ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის და სამხედრო- პოლიტიკური აგრესიის აცილებისთვის. XXI საუკუნის დასაწყისიდან, საერთაშორისო უსაფრთხოება უნდა განისაზღვროს, როგორც "საერთაშორისო ურთიერთობების მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს, მისი ბლოკების, კავშირების, გაერთიანებების და საერთაშორისო თანამეგობრობის ურთიერთქმედებას და თანამშრომლობას სხვადასხვა საფრთხეებისგან და სასიცოცხლო ინტერესების გარანტირებული უსაფრთხოების პირობებში.

დღევანდელ გლობალიზაციურ სამყაროში ხდება „შიდა და გარე პოლიტიკური სივრცის საზღვრების ინტენსიური დაბინდვა“, რომელიც პირდაპირ აისახება

"უსაფრთხოების დილემის" ინტერპრეტაციაში. XX საუკუნის ბოლო მესამედში, ბევრი ქვეყნის ახალი გამოწვევა გახდა არა სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები, არამედ შიდასახელმწიფოებრივი ეთნიკურთაშორისი წინააღმდეგობები და დაპირისპირებები, რომელიც გადაიზრდება ღია შეტაკებებში და სამოქალაქო ომებში. მსგავსი შემთხვევა მოხდა კავკასიის რეგიონში.

2014 წლის დეკემბრის თვეში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციის განახლებულ სამხედრო დოქტრინას. ამ დოკუმენტის ზოგი ერთი მუხლი კი აყენებს კავკასიის რეგიონს „უსაფრთხოების დილემის“ წინაშე. დოქტრინის მე-12-ე მუხლი ამბობს, რომ ნებისმიერ მეზობელ სახელმწიფოში ხელისუფლების ცვლილება, რომლის ინტერესები ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს წარმოადგენს საომარ საფრთხეს.[25] აქედან გამომდინარე, თუ რუსეთის ფედერაციის მეზობელ სახელმწიფოში გააქტიურდება ანტირუსული ძალა, ოფიციალური კრემლი მიიჩნევს ამას საფრთხედ.

რუსეთის დოქტრინის მიხედვით აფხაზეთი რუსეთის მეზობელია, შესაბამისად იქ ანტირუსული მთავრობის მოსვლა ავტომატურად საომარი საფრთხეა რუსეთისთვის. ბუნებრივია, მე-12-ე მუხლი ოფიციალურ თბილისსაც ეხება. როდესაც საქართველოში აქტიურდება დასავლური ძალა, რუსეთ- საქართველოს საზღვარი „ცოცავს“.

12 მუხლის „Д“ პუნქტის მიხედვით, რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევაც ომის საფრთხეს წარმოადგენს. დღევანდელი მოცემულობით ორივე ოკუპირებული რეგიონი „რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოა“ საქართველოს მხრიდან რაიმე სახით მათი „შიდა“ საქმეებში ჩარევა ყოველგვარი დათქმის გარეშე ომის მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს. ანუ ზემოთ აღწერილი

[25] ახალაია ბ. „რუსული სამხედრო დოქტრინა – გამოცხადებული იმპერიალიზმის ქრონიკა“, https://bachoakhalaia.org/2017/11/30/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90/, 30/11/2017, გვ.1

სეპარატისტული არჩევნების, რაიმე ოპოზიციური ჯგუფების ან არასამთავრობო ჯგუფების დაფინანსების გარეშეც, რაიმე კონტაქტი მათთან რომელიც შეიძლება შეფასდეს „შიდა საქმეებში“ ჩარევად, ურთიერთობა რომელიც თავისი ბუნებით შეიძლება სულაც არ იყოს რეინტეგრაციის პროცესთან კავშირში შეიძლება გახდეს ომის მიზეზი.[26]

2.2. მსოფლიო წესრიგის ტრანზიცია და ახალი სამხედრო უსაფრთხოება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის და „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, მსოფლიო წესრიგის მოწყობა გახდა მონოპოლარული, სადაც მთავარი მსოფლიო ჰეგემონი იყო ამერიკის შეერთებული შტატები და მთავარ როლს თამაშობდა საერთაშორისო ასპარეზზე. როდესაც ჯორჯ ბუშ-უმცროსმა გამოუცხადა ომი ტერორიზმს, 9/11- ის ტერაქტების შემდეგ, ოფიციალურმა ვაშინგტონმა შეძლო გლობალური მართვის სადავეების ხელში ჩაგდება. რუსეთის ფედერაცია 2014 წელს მოახდინა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსირება, „ჰიბრიდული ომის“ მეშვეობით, მან აჩვენა საერთაშორისო საზოგადოებას თავიანთი ამბიცია მსოფლიო ჰეგემონობისკენ, ოფიციალურმა მოსკოვმა დაშალა მონოპოლარული მსოფლიო წესრიგის მოდელი, რომელიც არსებობდა მანამდე. ოფიციალურმა ვაშინგტონმა და დასავლეთის სახელმწიფოებმა მოახდინეს რეაგირება, ეკონომიკური ბლოკადის სახით, რომელიც გამოუცხადეს რუსეთის ფედერაციას. ამ მოვლენების დროს პირველად იყო გამოყენებული ტერმინი „ახალი ცივი ომი“[27]. ამ კონფლიქტის ფონზე, გაიზარდა ევროკავშირის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში, მან გააფართოვა თავიანთი გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელება და დაიწყო პოლიტიკური საქმიანობა საქართველოში და უკრაინაში, რომლის შემდეგ ამ სახელმწიფოებს

---

[26] ახალაია ბ. „რუსული სამხედრო დოქტრინა – გამოცხადებული იმპერიალიზმის ქრონიკა“, https://bachoakhalaia.org/2017/11/30/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90/, 30/11/2017, გვ.1

[27] Lucas E. “The New Cold War- Putin’s Threat to Russia and the West”, Bloomsbury, Great Britain, 2014, p.1

დაუწესდა უვიზო რეჟიმი და გაფორმდა ასოცირების შეთანხმება. ასევე ევროკავშირი დაიწყო აქტიურობა აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში. როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების სათავეში მოვიდა დონალდ ტრამპი 2017 წელს, მან დაიწყო ნეოიზოლაციონალისტური საგარეო პოლიტიკის გატარება. ეს აისახა NAFTA-ს (აშშ-მექსიკა-კანადის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება) გაერთიანებიდან გამოსვლაში, ტრანს- წყნარი ოკეანეთის ხელშეკრულებიდან გამოსვლაში სადაც, ჩინეთის გარდა, რეგიონის 12 ქვეყანას აერთიანებდა შტატების ჩათვლით, ე.წ. „შერჩევითი ჩარევის“ პრინციპის შემოღებით, საერთაშორისო დახმარებების პროგრამის შეკვეცით და ა.შ. ამ მოქმედებებმა მთავარი როლი ითამაშეს მონოპოლარული მსოფლიო წესრიგის დასრულებაში. მაგრამ დონალდ ტრამპმა გააგრძელა რუსეთის ფედერაციის მიმართ ეკონომიკური ბლოკადის პოლიტიკა, ასევე არ თქვა უარი საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე რეგიონულ დონეზე. ამას ამტკიცებს ორმხრივი შეთანხმება უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში, რომელიც გაფორმდა საქართველოს რესპუბლიკასთან 2018 წელს, საქართველოს ყოფილ პრემიერ- მინისტრის ვიზიტის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ შეხვედრაზე იყო მიღებული ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლის შედეგად, ის სახელმწიფო, რომელიც აღიარებდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, მოხვდებოდა ეკონომიკური სანქციების ქვეშ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა გაამკაცრეს თავიანთი პოზიციები კორეის ნახევარკუნძულზე და ახლო აღმოსავლეთში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი პოლიტიკური აქტორი არის მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელი ფიგურანტი.

მეორე ფლანგზე იმყოფება რუსეთის ფედერაცია, რომელმაც დაიწყო თავიანთი გლობალური პოლიტიკის განხორციელება- სირიაში და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, შემდეგში მან განახორციელა მაღრიბი- აფრიკის მიმართულებით მცირე ექსპანსია. ოფიციალურმა მოსკოვმა, ახალი ბლოკის შექმნის მიზნით აფრიკის კონტინენტზე, დაიწყო სამხედრო მოქმედებები სირიაში. ეს მოქმედებები იყო მიმართული ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, მაგრამ ოფიციალური ვერსია იყო „ისლამური სახელმწიფოსთან“

ბრძოლა.შემდგომ, რუსეთის ფედერაციამ დააბრუნა სამხედრო დოქტრინაში პრინციპი „სტრატეგიული ბირთვული დარტყმის“ შესახებ. ასევე, ნახსენები იყო სამხედრო ძალების გამოყენების აუცილებლობა, სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.[28]

ამის გარდა, რუსეთმა გაზარდა სამხედრო ხარჯები ახალი ტექნიკის და შეიარაღების ათვისების მიმართულებით დაახლოებით 40%-ით და 2016 წელს გავიდა მესამე ადგილზე მსოფლიოში სამხედრო ასიგნების მიხედვით. ამასთან ერთად, ამ ეტაპზე ეკონომიკური ბლოკადის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული სავალუტო რეზერვებმა მიაღწია 402 მილიარდ აშშ დოლარამდე.[მაღრაძე გ., მაისაია ვ. 2017: 120]

ოფიციალური კრემლი გადავიდა აგრესიულ მეთოდებზე, „ახალი ცივი ომის“ პირობებში, და ეს ნიშნავს პირდაპირ სამხედრო საფრთხეს ბალტიის სახელმწიფოებსა და პოლონეთს, რომლებიც, არიან NATO-ში გაწევრიანებული. ამის საპასუხოდ NATO-მ 1988 წლის შემდეგ, პირველად აამოქმედა მეხუთე მუხლი „კოლექტიური თავდაცვის“ შესახებ. ოფიციალურმა კრემლმა აამოქმედა თავისი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინსტრუმენტები- გლობალურ დონეზე: აშშ და NATO- სთან დაპირისპირება (რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების 2015 წლის ახალ ვარიანტში მე-15 და მე-17 თავებში მთავარ მოწინააღმდეგეებად მიიჩნევს ამერიკის შეერთებული შტატებს და NATO-ს, მე-7 თავში პირდაპირ არის დაფიქსირებული რუსეთის ფედერაციის როლის გაზრდა მსოფლიო წესრიგის მოწყობაში)[29] რეგიონულ დონეზე, ოფიციალური მოსკოვი აგრძელებს თავის ჰეგემონიურ პოლიტიკას, როგორც კავკასიაში, ასევე ცენტრალურ აზიაში და ავღანეთში, სადაც ოფიციალური კრემლი აწვდის

[28] მაღრაძე გ., მაისაია ვ. ,,21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების'' თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები'', „უნივერსალი“ თბილისი, 2017, გვ.120

[29] Указ Президента Российской Федерации о Стратегии национальной безопасности Российской Федерации, №683, Москва, Кремль, 31 декабря 2015 года, стр. 3-8

შეიარაღებას „თალიბანის“ ბოძრაობას და ამ გზით ზიანს აყენებს აშშ-ს და NATO-ს ინტერესებს ამ სახელმწიფოში.[30]

ასევე რუსეთის ფედერაციამ განახორციელა ჩარევა ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რაც იყო ოფიციალური კრემლის სერიოზული ნაბიჯი ჰეგემონობის მისაღწევად. აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნები წარმოადგენს დემოკრატიის სიმბოლოს ამერიკის მოსახლეობისთვის. ოფიციალურმა მოსკოვმა სერიოზული დარტყმა განახორციელა დეზინფორმაციის გავრცელების გზით. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიას არანაირი კავშირი არ აქვს რუსეთის ფედერაციასთან და ის იცავს საკუთარი სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს. ოფიციალური მოსკოვი აპირებს თავიანთი ეგიდით დაარსებულ გეოპოლიტიკურ გაერთიანებების გამოყენებას საკუთარი გლობალური მიზნების მისაღწევად. ეს არის ევრაზიული კავშირი, ჩინურ- რუსული პროექტი „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია“და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია.

რაც შეეხება კავკასიის რეგიონს, როდესაც რუსეთის ფედერაცია მიაღწია სტრატეგიულ თანამშრომლობას ირანთან, თურქეთთან, ეს გამოიწვია ცენტრალურ კავკასიაში ოკუპირებულ აფხაზეთში ახალი სამხედრო დაჯგუფების შექმნა, სომხურ- რუსული სამხედრო ჯგუფის ჩამოყალიბება, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ ანექსიის განხორციელება. ამ გზით ოფიციალურმა კრემლმა მოახდინა გეოსტრატეგიული სამკუთხედის შექმნა: სოხუმი- ცხინვალი- გიუმრი, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს რესპუბლიკას. რუსეთის ფედერაცია ცდილობს დესტაბილიზაციის ჩანერგვას საქართველოში, „ჰიბრიდული ომის“ ფორმატში.

ეს აისახება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ვიზიტში ოკუპირებულ აფხაზეთში, სადაც მან გააკეთა განცხადება აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედებაზე. ამ გზით რუსეთის ფედერაცია შეძლებს თავიანთი ინტერესების გაფართოებას არა მარტო ცენტრალურ კავკასიაში, არამედ ახლო

[30] მაღრაძე გ., მაისაია ვ. ,,21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების'' თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები'', „უნივერსალი“ თბილისი, 2017, გვ.120-121

აღმოსავლეთში. ასევე ოფიციალური მოსკოვის შეძლებს დასავლეთის სახელმწიფოების ეკონომიკური ბლოკადისგან განთავისუფლებას.

ასევე ეს აისახება ვლადიმირ პუტინის ბაიკერების ჯგუფის „ღამის მგლებიის“ ვიზიტში საქართველოში, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაფიქსირდნენ.

მსოფლიო წესრიგის მეოთხე ფიგურანტად გამოდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მან მშვენივრად გამოიყენა დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ წყნარი ოკეანის ფორუმიდან გასვლის ფაქტორი და განახორციელა ინიციატივა- საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი „ერთი სარტყელი- ერთი გზა“, რომელიც, არის ფაქტიური დიდი ევრაზიული სივრცის ათვისების და ე.წ. „აბრეშუმის გზის“ სტრატეგიის განხორციელების პროექტი. ფაქტიურად ყალიბდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოფილი გენერალური მდივნის ხუ ძინტაოს მიერ წამოწყებული, ჩინური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, სადაც ჩინეთი აპირებს დატოვოს მინიმუმ 14 მილიარდი აშშ დოლარი და კიდევ უფრო გააფართოვოს „აბრეშუმის გზის ფონდი“, რომელიც, უკვე მოიცავს 40 მილიარდ აშშ დოლარს. ჩინეთი ამ გაერთიანებაში მოიაზრებს რუსეთის ფედერაციას, ინდოეთს და პაკისტანს, რომლებიც არიან გაერთიანებულნი „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში“, ამ შეთანხმებას შესაძლებელია შეუერთდნენ ირანის ისლამური რესპუბლიკა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, მონღოლეთი, სომხეთი და ა.შ. ამ პროექტის ფარგლებში, ახალი გაერთიანებაა მხედველობაში - „ერთი სარტყელი-ერთი გზა“, მოიაზრება საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებაც. ამავე დროს, ჩინეთის გეოსტრატეგიული აქტიურობა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით და ეს სამხრეთ აზიაში კიდევ უფრო ზრდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის როლს მიმდინარე ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების საქმეში.[31]

---

[31] მაღრაძე გ., მაისაია ვ. ,,21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების'' თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები'', „უნივერსალი“, თბილისი, 2017, გვ. 125-126

მსოფლიოში მსგავს ვითარებას შეიძლება პარალელი გავავლოთ ძალთა ბალანსის თეორიასთან. ძალთა ბალანსი, საერთაშორისო ურთიერთობებში, არის მსოფლიო გავლენის განაწილება ძალაუფლების ცალკეულ ცენტრებს შორის. მან შეიძლება მიიღოს სხვადასხვა კონფიგურაციები: ბიპოლარული, სამპოლუსიანი, მულტიპოლარული და ა.შ. ძალთა ბალანსის მთავარი მიზანი არის საერთაშორისო სისტემაში ერთი ქვეყნის ან სახელმწიფოების ჯგუფის დომინირების ჩახშობა და მსოფლიო წესრიგის დაცვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო გავლენა ნაწილდება ოთხ სახელმწიფოს (ოთხ პოლუსს) შორის: რუსეთის ფედერაცია, ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი. დღესდღეობით ამ ოთხ სახელმწიფოზე არის დამოკიდებული მსოფლიო წესრიგი და აკისრიათ დედამიწაზე კრიზისული სიტუაციების რეგულატორების როლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე მსოფლიო წესრიგი იქნება „ოთხპოლუსიანი“, და ამ წესრიგის აქტორები იქნებიან აშშ, რუსეთის ფედერაცია, ევროკავშირი და ჩინეთი. რთული განსაზრვრელია რამდენი წელი გაძლებს ასეთი მსოფლიო წესრიგი, მაგრამ საკითხავია თუ რა ბედი ელის კავკასიის რეგიონს მსგავს მსოფლიო წყობაში.

თავი 3. „ახალი ცივი ომის“ რეგიონული გეოპოლიტიკის ასპექტები- „ თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ მოდელის დასასრული- რეგიონული ანალიზის დონე.

ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში, სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესების დაცვის მიზნით, ქვეყნები ცდილობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების, კოალიციების და კავშირების შექმნას. ზოგი მათგანი დიდხანს არ იარსება, ზოგი თავისი ფორმა შეიცვალა. ყოველი ეპოქა ხასიათდება ახალი საფრთხეებით და ეს მოითხოვს "უსაფრთხოების" კონცეფციის ახალი მიდგომების შემუშავებას. მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილი იყოს გაერო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს შეიქმნა, ან NATO, რომელიც მოქმედებს ჩრდილოატლანტიკურ

სივრცეში. ამ პერიოდის განმავლობაში, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის დაარსებასთან ერთად, თანდათან მიღებული იყო განიარაღების და კოლექტიური უსაფრთხოების დოკუმენტები. შემდგომ ევროპაში გაჩნდა უსაფრთხოების და თანამშრომლობის სისტემები. XX საუკუნის 90-იან წლებიდან, გავრცელდა საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი მიდგომები. დასრულდა „ცივი ომის“ ეპოქა, რომელიც აიძულებდა ევროპის სახელმწიფოებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სამხედრო- პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანება.

საერთაშორისო საზოგადოების გაერთიანება კოალიციებში და კავშირებში, ხვდება რიჩარდ კოენის თანამშრომლობით უსაფრთხოების თეორიის ფარგლებში. თანამშრომლობითი უსაფრთხოება წარმოადგენს სტრატეგიულ სისტემას, რომელიც ფორმირებულია ძირითადი სახელმწიფოების ირგვლივ და დაკავშირებულნი არიან ოფიციალური და არაოფიციალური ინსტიტუტებით, რომლებსაც გააჩნია საერთო ღირებულებები, რომლების ასევე თანამშრომლობენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში.

სახელმწიფოები ერთიანდებიან საერთაშორისო კოალიციებში და ორგანიზაციებში, მსოფლიოში უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით. დღესდღეობით კი დიდ საფრთხეს წარმოადგენს ოფიციალური კრემლის მოქმედებები. რუსეთის ფედერაცია იყენებს „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიას, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა საერთაშორისო საზოგადოებას. ეს აისახა ისეთ მოქმედებებში, რომლებიც არიან, მაგალითად, საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება ან ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნებში ჩარევა. საერთაშორისო გაერთიანებები ვეღარ არეგულირებენ ვითარებას მსოფლიოში და ამას აჩვენებს გაეროს არაეფექტიურობა, და თავიანთი ძირითადი ამოცანების არშესრულება.

3.1. „ჰიბრიდული ომის“ თეორეია რუსეთის გეოსტრატეგიაში.

XXI საუკუნეში “ჰიბრიდული ომი” აისახება, როგორც მტრული ქმედების სახე, როდესაც თავდამსხმელი მხარე არ იყენებს კლასიკურ სამხედრო შეჭრას, მაგრამ აღწევს გამარჯვებას დივერსიების საშუალებით ამბოხელების მატერიალური-

ტექნიკური დახმარებით. ის ასევე მოიცავს XXI საუკუნის კიბერომებსაც. „ჰიბრიდული ომის“ დროს, თავდასხმის მხარე ყოველთვის უარყოფს სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობას. ასეთი "შეზღუდული" ომი თეორიულად საშუალებას აძლევს თავდამსხმელებს დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნონ კონფლიქტი. ფინანსური და სახალხო დანაკარგი უფრო ნაკლებია, ვიდრე კლასიკურ ომში.

ჰიბრიდული ომის ტერმინი შედარებით ახალია. მისი გამოყენება დაიწყო 2000-იანი წლების დასაწყისში. მსგავსი ფორმულირება გამოყენებული იქნა ამერიკელი სამხედრო პუბლიცისტების ჯეიმს მეტისის და ფრენკ ხოფმანის მიერ სტატიაში Future Warfare: The Rise of Hybrid Wars, რომელიც დაბეჭდილი იყო 2005 წელს.

ჰიბრიდული ომი არის გამოწვევა, რომელიც უკვე რამოდენიმე ათასი წელი არსებობს. დაახლოებით ორი ათასი წლის წინ ჩინელმა სამხედრო სტრატეგმა აღიარა, რომ არაპირდაპირი ომი ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებაა, მოწინააღმდეგის დასამარცხებლად ნაკლებ სარესურსო დანახარჯებით, რაც გარდაუვალი იქნებოდა პირდაპირი კონფრონტაციის პირობებში. ჰიბრიდული ომი უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ისეთ პირობებში, სადაც საერთაშორისო საზოგადოება უფრო და უფრო მეტ შეზღუდვებს აწესებს. სასურველი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, „ჰიბრიდულმა ომმა“ გააერთიანა ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა სამხედრო, ეკონომიკური, დიპლომატიური, კრიმინალური და საინფორმაციო საშუალებები.[32]

„ჰიბრიდული ომის“ მსგავსი მეთოდები იყო გამოყენებული ძველ დროშიც. მოწინააღმდეგეები ყოველთვის არ იყენებდნენ პირდაპირ შეტაკებებს, ისინი იყენებდნენ „ეშმაკურ“ ხრიკებს, სადაც შესაძლებელი იყო. მსგავსი შემთხვევა მოხდა პელოპონესის ომის დროს (ძვ. წ. 431-404), სადაც დაუპირისპირდა ერთმანეთს ათენი და სპარტა. ათენელებმა დაიპრყვეს ქალაქი ფილოსი, რომელიც

[32] ცხადაძე ნ., საერთაშირუსო ურთიერთობების ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომი „ჰიბრიდული ომი- რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები 1917 წლიდან - 2014 წლამდე“, თბილისი 2019, გვ.5-6,

მდებარეობდა სპარტიდან 70 კილომეტრში, სპარტელი მონების- ილოტების აჯანყების იმედით, რაც მოუტანდა ათენს გამარჯვება.

„ჰიბრიდული ომის“ ელემენტები ასევე აისახება ესპანეთის 1936- 1939 წლების კონფლიქტში, რომელიც იყო XX საუკუნის ყველაზე სისხლიანი სამოქალაქო ომი. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა ესპანეთის რესპუბლიკას, გერმანია მხარს უჭერდა ფრანსისკო ფრანკოს (ესპანეთის გენერალი და დიქტატორი 1936 წლის ოქტომბრიდან, და ესპანეთის ნომინალურად აღდგენილი სამეფოს დე ფაქტო რეგენტი 1947 წლიდან მის გარდაცვალებამდე. მისი იდეოლოგია ფოკუსირდებოდა ესპანურ ნაციონალიზმზე, კათოლიციზმზე, ანტიკომუნიზმზე, მემარჯვენე იდეოლოგიაზე და ტრადიციულ ფასეულობებზე). ამ კონფლიქტში მონაწილეობდნენ არა მარტო ესპანელები, ასევე ჩართული იყო 150 ათასი იტალიელი, 50 ათასი გერმანელი, 20 ათასი პორტუგალიელი, ასევე სხვადასხვა სახელმწიფოების ნაცისტები. გერმანიამ გააგზავნა სამხედრო- საავიაციო ნაწილი „ლეგიონ კონდორი“, რომელიც შედგებოდა 5,5 ათას სამხედრო პირისგან. როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა კავშირმაც მიიღო მონაწილეობა ამ კონფლიქტში. საბჭოთა კავშირმა გადასცა ფრანსისკო ფრანკოს მოწინააღმდეგეებს 648 სხვადასხვა თვითმფრინავი, 347 მსუბუქი ტანკი, 1186 საარტილერიო იარაღი და სხვა საბრძოლო საშუალებები. ესპანეთის რესპუბლიკის მხარეს იბრძოდა 2 ათასზე მეტი საბჭოთა კავშირის მოქალაქე. ესპანეთის რესპუბლიკის ომი გვიჩვენებს, როგორ იცვლება ომის მეთოდები. თუ, ომის დასაწყისში, საბჭოთა კავშირი პასიურ დახმარებას უწევდა ესპანეთის რესპუბლიკას, 1937 წლის შემდეგ ის დე- ფაქტო გახდა კონფლიქტის აქტიური მონაწილე.[33]

დღესდღეობით საერთაშორისო საზოგადოება აღშფოთებულია რუსეთის ფედერაციის აგრესიული პოლიტიკის გამო. ოფიციალური კრემლის გადაწყვეტილებები გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფოებისთვის და ეს საფრთხე აისახება ისეთ კონფლიქტებში როგორებიცაა მაგალითად, 2008 წლის რუსეთ- საქართველოს ომი და ყირიმის

[33] Зораб. Р., «Гибридная война: реальное явление или исторический миф?», https://naked-science.ru/article/history/gibridnaya-voyna-realnoe-yavlenie, 27/06/2017, стр.1

ანექსია, რომლებიც დღესაც არ დასრულებულა. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა სულ უფრო აგრესიული და არაპროგნოზირებადი ხდება. დღესდღეობით ოფიციალური კრემლი იყენებს ისეთ ხრიკებს, რომლებიც რთულად განსაზღვრელია დასავლეთის სახელმწიფოებისთვის. საერთაშორისო საზოგადოებამ შეარქვა რუსეთის ფედერაციის ომის მართვის მეთოდს „ჰიბრიდული ომი“

ბოლო დროს, რუსეთის ფედერაცია ნაკლებად ერთვება კლასიკურ საომარ მოქმედებებში, ოფიციალური კრემლი უპირატესობას ანიჭებს არასამხედრო საშუალებებს, რომლებიც დაეხმარება თავიანთი სტრატეგიული ამოცანების მიღწევაში. რუსეთის ფედერაციის სამხედრო სტრატეგია ნათლად აჩვენებს რუსეთის ფედერაციის არმიის გენერლის და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ვალერი გერასიმოვის სტატია „მეცნიერების ღირებულება წინასწარმეტყველებაში“ („Ценность науки в предвидении “), რომელიც ნახსენებია პირველ თავში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ჰიბრიდული ომის“ კომპონენტები ყოველთვის არსებობდა, მხოლოდ სხვა დასახელება ჰქონდა. ადამიანები ყოველთვის ადამიანებად დარჩებიან და იგივე ინსტინქტები დარჩებათ. ძლიერო ქვეყნების ჩარევას სუსტი სახელმწიფოების საქმეებში არშეიძლება ვუწოდოთ „ახალი თაობის ომი“.

3.2. აშშ- რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია შავი ზღვის არეალში.

XXI საუკუნეში შავი ზღვის რეგიონი ამერიკის შეერთებული შტატების და რუსეთის ფედერაციის მზარდი კონკურენციის ზონად იქცა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდეგ, ოფიციალური ვაშინგტონი და NATO ცდილობდნენ თავიანთ სამხედრო- საზღვაო ფლოტის განლაგებას რუსეთის ფედერაციის საზღვრებთან. რამოდენიმე ათეული წლის წინ, აშშ-ს და NATO-ს გემების შემოსვლა შავი ზღვის რეგიონში განიხილებოდა, როგორც საგანგებო ინციდენტი, მაგრამ დღესდღეობით შავი ზღვის აკვატორია

გახდა NATO-ს სამხედრო- საზღვაო გაერთიანებული ძალებისთვის უბრალო ოპერატიული ზონა.

25 წლის წინ ძალაში შევიდა ბუქარესტის კონვენცია შავი ზღვის დაცვის შესახებ. ეს არის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს შავი ზღვის ხსნას და აღდგენას. ექვსმა შავი ზღვის სახელმწიფომ ხელი მოაწერა კონვენციას- რუსეთმა, საქართველომ, თურქეთმა, რუმინეთმა, უკრაინამ და ბულგარეთმა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია კონკრეტული თანამშრომლობა. ბუქარესტის კონვენციის იდეა გახდა რუსეთის ფედერაციის და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული დაპირისპირების მსხვერპლი. ექვსი წევრისგან, სამი არის NATO-ს წევრი და ორი: საქართველო, უკრაინა, იმყოფება რუსეთის ფედერაციასთან დაპირისპირებაში.

იენს სტოლტენბერგი (ნორვეგიელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი 2000-2001 და 2005-2013 წწ., ნატოს გენერალური მდივანი. თანამდებობა დაიკავა 2014 წლის 1 ოქტომბერს) ამბობს, რომ ისინი ზრდიან თავიანთ ძალებს შავ ზღვაში: ამყარებენ საზღვაო- სამხედრო ძალებს, სადაზვერვო საშუალებებს, ახორციელებენ თვალთვალს თვითმფრინავებით AWACS-ის სისტემით (AWACS- საჰაერო შეტყობინების, კონტროლისა და მართვის სისტემა (მოწინააღმდეგის საფრენი აპარატებისა და რაკეტების ადრეული აღმოჩენის, მათ საწინააღმდეგო ზომების კონტროლისა და შორეული დაზვერვის საბორტო სისტემა)), რომლებიც იმყოფებიან თურქეთის, ბულგარეთის და რუმინეთის ბაზებზე.

NATO აქტიურად ზრდის, როგორც თავიანთ, ასევე მოკავშირეების (საქართველოს, უკრაინის) პოტენციალს რეგიონში. შავი ზღვის ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით იმყოფება რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და ოკუპირებული აფხაზეთი. სამხრეთ- აღმოსავლეთით არის საქართველო, სამხრეთით- თურქეთი და დასავლეთით- ბულგარეთი, რუმინეთი. უკრაინის და საქართველოს ალიანსში გაწევრიანებისთანავე, შავი ზღვა ნამდვილად გახდება NATO-ს შიდა აკვატორია. მისი სანაპიროს სიგრძე შეადგენს 4100 კილომეტრს. აქედან 2500 კილომეტრი 1992

წლამდე ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირს. დღესდღეობით, რუსეთის ფედერაცია ეკუთვნის (ყირიმის ჩათვლით) 1200 კილომეტრი, უკრაინას- 1000 კილომეტრი, ყველა გრძელი სანაპირო ზოლი აქვს თურქეთს- 1500 კილომეტრი, დანარჩენი კი ეკუთვნის რუმინეთს, ბულგარეთს და საქართველოს. ყველა ზემოთ ხსენებულ სახელმწიფოს აქვს უფლება შეიძინონ თავიანთი ფლოტი შეძლებისდაგვარად. მონტრეს კონვენცია 1936 წლიდან არეგულირებს შავ ზღვაში არაშავიზღვისპირა სახელმწიფოების გემების ყოფნის რეჟიმს და უცხო გემებს შეუძლიათ გაჩერდნენ შავი ზღვის რეგიონში 21 დღით. ასევე გემის წონა არ უნდა იყოს 30 ტონაზე მეტი. აქედან გამომდინარე, დასავლეთის ფლოტის მთავარი დამრტყმელი ძალა- ავიაგადამზიდები, ვერ შემოვლენ შავ ზღვაში.

ბუქარესტის კონვენცია უნდა ყოფილიყო თანამშრომლობის და ურთიერთ შეთანხმების დოკუმენტი, მაგრამ ამ ექვსეულში იზრდება დაპირისპირება. 2009 წელს, რუმინეთს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გადაეცა შავი ზღვის შელფის სადავო ტერიტორიები, რომელიც ეკუთვნოდა უკრაინას. საქართველო ითხოვდა რუსეთი ფედერაციის წევრობის შეწყვეტას ბუქარესტის კონვენციაში. უკრაინა ითხოვდა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ოფიციალური მოსკოვის დასჯას, აგრესიული მოქმედებების გამო შავი და აზოვის ზღვებში. ბულგარეთი და რუმინეთი NATO-ს წევრები არიან და ცხადია რა დამოკიდებულებაც ექნებათ რუსეთის ფედერაციის მიმართ. ბუქარესტის კონვენციის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი წერტილები სადაც აქვთ განლაგებული საზღვაო-სამხედრო ბაზები, რომელიც მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას და ფინანსებს: ბულგარეთი- ქალაქი ვარნა, საქართველო- ქალაქები ბათუმი და ფოთი, რუსეთის ფედერაცია- ნოვოროსისკი, სევასტოპოლი (ფეოდოსია 2014 წლიდან), რუმინეთი- ქალაქები კონსტანცა და მანგალია, უკრაინა- ოდესა, თურქეთი- სინოპი და სამსუნი. ყველა ჩამოთვლილი ბაზა, რუსეთის ფედერაციის გამოკლებით, არის NATO-ს საყრდენი პუნქტები, რომლებსაც იყენებენ ოფიციალური კრემლის შეკავებაში. ოდესაში შემოდიან NATO-ს გემები, საქართველოში იმართება საჩვენებელი წვრთნები, აშშ-ს მეექვსე ფლოტის მეთაურების განმარტებით, ეს მოქმედებები აუცილებელია, საზღვაო საბრძოლო მზადყოფნისათვის, რათა

ყოველთვის მზადებაში იყვნენ, როგორც რუსეთის ფედერაციის შეკავებისთვის, ასევე საქართველოსა და უკრაინის დაცვისთვის.

2019 წლის ივნისში აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარემ ადამ სმიტმა შეიტანა კანონპროექტი 2020 წლის თავდაცვის ბიუჯეტის შესახებ, რომელშიდაც პენტაგონს ევალება რუსეთის ფედერაციის საწინააღმდეგო სტრატეგიის შემუშავება შავ ზღვაში. ზემოაღნიშნული სტრატეგია მიზნად ისახავ რუსეთის ფედერაციის აგრესიულ ქმედებებზე წინააღმდეგობის გაწევას, თავისუფლების უზრუნველყოფას რეგიონში საერთაშორისო სამართლის თანახმად და მოკავშირეები და პარტნიორების დაცვას შავი ზღვის არეალში. აღნიშნულ დოკუმენტში, რუსეთის გავლენას ამ რეგიონში უწოდებენ „ბოროტულს“, აშშ კი გამოდის დემოკრატიული მმართველობის პრინციპების და კანონის უზენაესობის მცველის როლში.

რუსეთის ფედერაციის აგრესიულ მოქმედებების მაგალითად მოჰყავთ ყირიმის 2014 წლის ოკუპაციას და ქერჩის სრუტეს ინციდენტს, სადაც უკრაინის მცირე ჯავშანკატარღებს “ბერდიანსკს”, “ნიკოპოლს” და ბუქსირ “იანი კაპუს” დაეჯახა ერთ- ერთი რუსული გემი ქერჩის სრუტეში. ამ კონფლიქტის ესკალაცია მაშინვე აისახა გლობალურ პოლიტიკაზე. ასევე ახალ კანონპროექტში არსებობს სტატია უკრაინის სამხედრო დახმარების შესახებ 250 მილიონ აშშ დოლარის ოდენობით.

შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს მაღალ დაინტერესების ზონას ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და რუსეთის ფედერაციისთვის. აშშ-ს ახალი კანონპროექტი საშუალებას აძლევს ოფიციალურ კიევს ისეთ ქმედებების ჩადენას, რომლის შედეგად რუსეთის ფედერაცია აჩვენებს კიდევ ერთხელ თავიანთ აგრესიულ სახეს. აქედან გამომდინარე, მომავალში მოსალოდნელია ახალი პროვოკაციების ჩადენა შავი ზღვის რეგიონში.

3.3. რუსეთის გეოსტრატეგიის ახალი მიდგომები კავკასიის რეგიონში.

რუსეთს და კავკასიის რეგიონს აქვს ხანგრძლივი ისტორია, და ამ ისტორიის მანძილზე მათი ურთიერთობები არასდროს ყოფილა ჰარმონიით და ერთგულებით სავსე. მნიშვნელოვანია გავიხსენოთ „კავკასიის ომი“. ეს იყო

ყველაზე ხანგრძლივი კონფლიქტი რუსეთის იმპერიის მონაწილეობით, რომელიც გაიწელა 100 წლით. ამ ომს მოჰყვა დიდი მსხვერპლი, როგორც რუსეთის იმპერიის, ასევე კავკასიის მხრიდან. თითქმის 160 წლის შემდეგ, კავკასიისა და რუსეთის პრობლემა კვლავ აქტუალურია, და ამ ურთიერთობებს ზიანი მოაქვს მთელ მსოფლიოსთვის.

კავკასიის რეგიონი თანდათან გადადის რუსეთის ფედერაციის ხელში, ევროპის სახელმწიფოებს კი ამ დროს არ აქვთ საშუალება ჩაერიონ შექმნილ ვითარებაში, ეკონომიკური და სტრუქტურული პრობლემების გამო. შესაბამისად ევროკავშირი კარგავს პოლიტიკურ გავლენას ამ რეგიონში. ამ დროს, ოფიციალური კრემლი კვლავ ამყარებს გავლენას კავკასიაში. 2008 წლამდე, რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთის სახელმწიფოების შორის, მიმდინარეობდა ძლიერი კონკურენცია ამ რეგიონში გავლენის დამყარებისთვის. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა ეცადეს ამ ზონის დასტაბილურება, მაგრამ ვერ შეძლეს კავკასიის რესპუბლიკების დახსნა ოფიციალური მოსკოვის შანტაჟისგან.

როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაცია მოქმედებს კავკასიაში სტრატეგიით „დაყავი და იბატონე“ და ამ სტრატეგიით ის იყენებს რეგიონალურ კონფლიქტებს თავისთვის სასარგებლოდ. ამის მაგალითი არის გადაუჭრელი კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანის შორის. ოფიციალური კრემლი „ეშმაკურად“ თამაშობს „მშვიდობისმყოფელის“ როლს ამ ზონაში, მაგრამ ის დაინტერესებულია იმაში, რომ შეინარჩუნოს არსებული სიტუაცია უსასრულოდ და რაც შეიძლება დიდხანს მოახდინოს გავლენა ამ რეგიონში. რუსეთის ფედერაციას კარგი ურთიერთობები აქვს ოფიციალურ ერევანთან და ამავდროულად ორაზროვან ურთიერთობებს ინარჩუნებს აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან. აქედან გამომდინარე, ოფიციალურ მოსკოვთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნება ხდება აუცილებელი ორივე სახელმწიფოსთვის.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს სურს კავკასიის რეგიონში შეღწევა, რუსეთის ფედერაცია ჯერ კიდევ აქვს უდავო და უპრეცედენტო გავლენა ამ რეგიონში.

ჩრდილოეთ კავკასიის უსაფრთხოების დამყარების ისტორია იწყება ჩეჩნეთის პირველი ომიდან, რომელიც მიმდინარეობდა 1994-1995 წლებში და ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანიიდან ამ სახელმწიფოში 1999 წელს. თუმცა, ამ რეგიონის რუსული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული სიტუაცია არასტაბილური რჩება. ჩეჩნეთში არსებული ვითარება დიდწილად დასტაბილურდა პრეზიდენტის რამზან კადიროვის „რკინის ხელით“, მაგრამ სიტუაცია ჯერ კიდევ ძალიან დაძაბულია, რადგან ჩეჩნეთის პრეზიდენტის „რკინის ხელი“ ხელს უწყობს ადგილობრივი ბანდების განვითარებას. ჩეჩნეთის რესპუბლიკაში დაინერგა კლანური მართვის სისტემა და მთელი ძალაუფლება არის დაყოფილია ამ კლანების მეთაურების შორის. რამზან კადიროვს ეკუთვნის პირადი კერძო არმია, რომელიც ემორჩილება უშუალოდ ჩეჩნეთის პრეზიდენტს და არა ფედერალურ ძალაუფლებას. ოფიციალურმა კრემლმა მხოლოდ ჩეჩნეთს დართო ნება ადგილობრივი დანაყოფის შექმნაზე, რომელიც დე- ფაქტო არის ჩეჩნეთის მეთაურის კონტროლის ქვეშ. რამზან კადიროვის ბატალიონები არის რუსეთის ფედერაციაში ერთადერთი სამხედრო ფორმირება, რომელიც დაკომპლექტებულია ნაციონალურ პრინციპით.

არასტაბილურობა, სოციალური დაუცველობა და ტერორისტული თავდასხმები მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელდა, კერძოდ, ინგუშეთში, დაღესტანსა და ყაბარდო-ბალყარეთში. „კავკასიის ისლამური საამირო“, რომელიც არის კავკასიის ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია, აგრძელებს მოქმედებას ამ რეგიონში. გარდა ამისა, სიტუაციას ამძიმებს, როგორც უსიამოვნო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობები, ასევე ძალადობა ფედერალური და ადგილობრივი უსაფრთხოების ძალების მხრიდან. ჩეჩნეთის ფედერაციის „არმიის“ რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 30 ათას ადამიანს. აქედან, უმეტესი ნაწილი ფორმალურად არის რუსეთის ფედერაციის შსს-ს თანამშრომლები. ფაქტიურად ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მოქმედი სამხედრო ფორმირებები არ არიან დამოკიდებულები ფედერალურ ორგანოებზე, ისინი მხოლოდ რამზან კადიროვს ემორჩილებიან. თავიანთ ერთგულებას ჩეჩნეთს მეთაურის მიმართ გამოხატავენ,

სპეციალური ფორმების ტარებით და მანქანებით, რომლებსაც აწერია რამზან კადიროვის ინიციალები. (დანართი 2)

რამზან კადიროვის არმიის პოლიტიკური დოსიე.

როდესაც ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მოდის სავალდებულო- სამხედრო გაწვევის დრო, ახალგაზრდები, რომლებიც თავისუფლად გადიან სამედიცინო შემოწმებას, არ მიდიან რუსულ არმიაში. ყველა ჩეჩენი ახალგაზრდა მსახურობს რამზან კადიროვის პირად არმიაში.

პირველი ფართომასშტაბიანი ჩეჩნეთის შეიარაღებული ფორმირებები, ფედერალურ ძალებში, მეორე ჩეჩნური კამპანიის დროს, გუდერმესის ჩაბარების შემდეგ 2002 წელს. იმ დროს ფედერალების მხარეს გადავიდნენ იამადაევების (ჯაბრაილ და სულიმ იამადაევები იყვნენ იჩკერიის მეორე ბატალიონის ნაციონალური გვარდიის მეთაურები) და ჩეჩნეთის მუფტის ახმატ კადიროვის კლანები. მანამდე მოქმედებდა ე.წ. „ჩეჩნეთის მილიცია“, რომელიც შედგებოდა იამადაევების და კადიროვის ბოევიკებისგან. შემდგომ 2002 წლის მარტში შეიქმნა სპეციალური როტა, რომელიც ექვემდებარებოდა თავდაცვის სამინისტროს სამთო დაჯგუფების კომენდატურას. 2003 წლის შემოდგომას ის გადაიზარდა სპეციალურ ბატალიონში სახელად „აღმოსავლეთი“ («Восток»), 42 არმიის მოტომსროლელი დივიზიაში, რომელიც შედგებოდა 1500 ადამიანისგან. ასევე, ამ დროს, ე.წ. „კადიროვცები“ (კადიროვების კლანის წარმომადგენლები) შევიდნენ ჩეჩნეთის პრეზიდენტის ალუ ალხანოვის ე.წ. „უსაფრთხოების სამსახურში“. მესამე ჩეჩნეთის ფორმირება- 42 მოტომსროლელი დივიზიის სპეცბატალიონი სახელად „დასავლეთი“ («Запад»), რომელიც შედგებოდა ძველ ოპონენტ-სეპარატისტებისგან საიდ-მაგომედ კაკიევის მეთაურობით.

საიდ-მაგომედ კაკიევი იბრძოდა ჯოხარ დუდაევთან (ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი) ერთად 1992 წლიდან, მათი ხელმძღვანელი იყო უმარ ავტორხანოვი. მისმა ჯარისკაცებმა მოახდინეს გროზნოს სატელევიზიო ცენტრის დაკავება 1994 წელს. ასევე, მათმა კარგად გამოიჩინეს თავი რუსეთის ფედერაციის მიერ ჩეჩნეთის დედაქალაქის შტურმის დროს.

ჩეჩნების ახალი შემოდინება ძალოვან სტრუქტურებში დაემთხვა ჩეჩნეთის შსს-ს დაარსებას 2002 წელს. იმ დროს ახმატ კადიროვმა დაარწმუნა ოფიციალური კრემლი, რომ შეძლებდა იმ ბოევიკების გადმობირებას, რომლებიც იმალებოდნენ ტყეებში და მთებში. საბოლოო ჯამში ჩეჩნეთის პოლიციას შეივსო „მონანიებულ“ სეპარატისტებით. სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ, 2002-2005 წლებში, კადიროვმა შეძლო 7-14 ათასამდე ბოევიკების გადმობირება. ეს ხალხი შევიდა ჩეჩნეთის პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურში და რესპუბლიკის შსს-ს საპატრულო სამსახურში. როგორც ცნობილია, მილიციის დანაყოფი შეადგენდა 4000 ადამიანს, რომლების შეიარაღებულნი იყვნენ სასროლო იარაღებით, БТР-ბით და სარაკეტო დანადგარებით. 2005 წელს ჩეჩნეთში შეიქმნა ანტიტერორისტული ცენტრი (Антитеррористический центр (АТЦ)), რომელშიც შევიდა ჩეჩნეთის პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები. 2006 წელს ეს ცენტრი გაუქმდა და თანამშრომლების ნაწილისგან და მილიციისგან შეიქმნა ორი სპეცბატალიონი- „სამხრეთი“ («Юг») და ჩრდილოეთი“ («Север»), რომელიც, საერთო ჯამში, შედგებოდა 1200 მებრძოლისგან.

2005 წლისთვის ოფიციალურმა კრემლმა საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება დაენიშნა რამზან კადიროვი ჩეჩნეთის რესპუბლიკის „ბელადად“. 2007 წელს ვლადიმირ პუტინმა შეამცირა ჩეჩნეთის სამხედრო დაჯგუფების რიცხვი 50 ათასიდან 25 ათასამდე. ამ დროს რამზან კადიროვმა ჩაიგდო ხელში ოპერატიულ-საგამოძიებო ბიურო 2 და მოაქცია თავიანთი კონტროლის ქვეშ რესპუბლიკის შსს, რომელშიც იყო შექმნილი „სპეცდანიშნულების“ პოლკი. მის ფუნქციებში შედიოდა ტერორიზმთან ბრძოლა ჩეჩნეთს გარეთ.

რამოდენიმე წელიწადში ჩეჩნეთის მილიცია გასამმაგდა. თუ 2003 წელს შტატი შეადგენდა 5,5 ათას ადამიანს, შემდგომ წლებში ის გაიზარდა 16 ათას ადამიანამდე. ასევე, შსს-ს ცალკე დანაყოფი, რომელიც ემორჩილებოდა პირადად კადიროვს, იყო „კერძო დაცვის“ პოლკი (რესპუბლიკაში ეძახდნენ „ნავთობის პოლკს“), რომელიც იცავდა მილსადენებს და ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას. ეს პოლკი შედგებოდა 1500-დან 4500 ადამიანამდე. პირადად რამზან კადიროვს, რომელსაც ჰქონდა გენერალ-მაიორის წოდება, ემორჩილებოდა ჩეჩნის ომონი

(OMOH-რუსეთის ფედერაციის სპეცრაზმის დაჯგუფება), რომელიც შედგებოდა 300 მებრძოლისგან.

ჩეჩნეთის რესპუბლიკა არის რუსეთის ფედერაციის ერთადერთი რეგიონი, სადაც ოფიციალურმა კრემლმა ნება დართო ადგილობრივი დანაყოფების შექმნაზე, რომლებიც იმყოფებიან ჩეჩნეთის რესპუბლიკის კონტროლის ქვეშ. სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან ცნობილია, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტის ხელში არის 10-30 ათასამდე მოქმედი მებრძოლია.

ჩეჩნეთის პრეზიდენტის პირადი არმია, რომელიც არსებობს რუსეთის ფედერაციის ფედერალურ ბიუჯეტის ხარჯზე, არაფრით არ უთმობს ფედერალური დაცვის სამსახურის არმიას. რაც შეეხება საბრძოლო ეფექტურობას, „კადიროვცევი“ ბევრად უკეთეს ფორმაში არიან ვიდრე რუსეთის სახელმწიფო კორპორაციების არმიები- ტრანსნეფტი (მაგისტრალური ნავთობსადენების და ნავთობპროდუქტის ოპერატორი), რუსეთის რკინიგზა, როსატომი (ატომური ენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაცია).

ჩეჩნეთის რესპუბლიკაში შექმნილი არმია, რომელიც არის დაკომპლექტებული ნაციონალური პრინციპით, არის ყველაზე ძლიერი და ეფექტური დაჯგუფება თანამედროვე რუსეთის ფედერაციაში. ამ სტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს „კადიროვის სპეცნაზი“, რომლის მომზადებაში იღებს მონაწილეობას რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების გამოცდილი ოფიცერი დანიილ მარტინოვი. როდესაც ის, 2013 წელს „ალფას“ სპეცდანაყოფიდან წავიდა, დანიილ მარტინოვი დანიშნული იყო ჩეჩნეთის პრეზიდენტის დამხმარედ. მისი ყოფილი კოლეგები ეძახიან მარტინოვს მოღალატეს. კოლეგებს ეშინიათ იმის, რომ რუსი ოფიცერის მომზადებული ჯარი დაუმიზნებენ თავის იარაღს რუსეთის ჯარისკაცებს, როგორც ეს მოხდა 1990-იანების დასაწყისში და 2000-იანების დასაწყისში. ასევე ეს თანამშრომლობა შეშფოთებას იწვევს ძალაუფლების წარმომადგენლებს შორის. 2013 წელს სახელმწიფო რუსეთის ფედერაციის დუმის დეპუტატი ალექსეი ჟურავლიოვმა გააგზავნა მოთხოვნა ფედერალურ უსაფრთხოების სამსახურში, რუსი ოფიცრის მიერ სწავლების კანონიერება.

დანიილ მარტინოვმა აიყვანა ჩეჩნეთის ჯარი ახალ პროფესიონალურ დონეზე. 2015 წლის სპეცდანაყოფების ჩემპიონატზე, რომელიც გაიმართა იორდანიაში, ჩეჩნეთის მებრძოლებმა გამარჯვება მოიპოვეს. ჩემპიონატში მონაწილეობდა 43 გუნდი. მაგრამ კადიროვის ბოევიკები ახდენენ თავიანთი შესაძლებლობების დემონსტრაციას არა მარტო საერთაშორისო ჩემპიონატებზე, ისინი მოქმედებენ რეალურ საბრძოლო პირობებში. მაგალითად, დონბასის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს, უკრაინის სამხედროების წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩეჩნეთის ბოევიკები. ასევე 2014 წლის 26 მაისს იყო გამოქვეყნებული ვიდეო, რომელიც იყო გადაღებული დონეცკში უკრაინელი სეპარატისტების მიტინგზე. მოედანზე დადგა სატვირთო ავტომობილი, რომელშიც იმყოფებოდა ორი ათეული შეიარაღებული მებრძოლები. CNN- ის კორესპონდენტთან საუბრის დროს, ერთ-ერთმა მათგანმა თქვა: „ჩვენ კადიროვცები ვართ“. (დანართი 3)

ბოლო დროს კადიროვის ბოევიკები აქტიურობენ მოსკოვშიც. თუ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მათი მთავარი მიზანი არის თავიანთი „ბოსის“ რეჟიმის დაცვა, დანარჩენ რუსეთს ისინი აღიქვამენ, როგორც „მტაცებელს“. რუსეთის რეგიონებში მოქმედებენ დანაშაულებრივი დაჯგუფებები და მათ დაფუძნებაში „ხელი ურევია“ ჩეჩენ ბანდიტებს. რამოდენიმე „ავტორიტეტს“ მხარს უჭერს და მფარველობს პირადად რამზან კადიროვი. მაგალითად, 2011 წელს მოსკოვში დააკავეს კრიმინალური „ავტორიტეტი“ ხაჯიმურად გაკაევი, რომლის დაჯგუფება დაკავებული იყო რეკეტით, ყაჩაღობით და თაღლითობით. მის დასაცავად გამოვიდა რამზან კადიროვი, რის შედეგადაც ის გათავისუფლდა პასუხისგებისგან.

რუსეთის ფედერაციაში რეგულარულად ხდება ფართომასშტაბიანი ტერორისტული თავდასხმები. ყველაზე მნიშვნელოვანი ინციდენტი იყო თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქება მოსკოვის დომოდედოვოს საერთაშორისო აეროპორტში. ტერორისტული დანაშაული ჩრდილოეთ კავკასიაში, წლიდან წლამდე გრძელდება. 2011 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ტერორიზმთან დაკავშირებული 365 დანაშაული დარეგისტრირდა. ამ რეგიონში ხშირია პოლიტიკოსების, მუსლიმი სასულიერო პირების და ჟურნალისტების

მკვლელობები და თავდასხმები. ამ რეგიონის ტერორიზმის პრობლემა სცდება საზღვრებს და ზიანს აყენებს, როგორც ჩრდილოეთ კავკასიას, ასევე რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონებს და მეზობელ სახელმწიფოებსაც. ამის მაგალითი არის 2017 წლის ნოემბრის თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია, რომელიც მიმართული იყო ჩრდილოეთ კავკასიის დანაშაულებრივ ჯგუფთან ბრძოლაზე. ამ ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი იყო აჰმედ ჩატაევი, მეტსახელად „ცალხელა აჰმედი“, რომელიც იყო ერთ-ერთი ყველაზე საშიში ძებნილი ტერორისტი მსოფლიოში.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასია, რუსეთის ფედერაცია უკვე დიდი ხანია იმყოფება ამ რეგიონში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცდილობს მთელ კავკასიის რეგიონზე გავლენის შენარჩუნებას, ოფიციალური კრემლის ჭეშმარიტი მისწრაფებები და ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის თითოეულ ქვეყანასთან საკმაოდ განსხვავებულია. 1990-იანი წლების დასაწყისიდან, რუსეთის ფედერაციის უახლოესი მოკავშირე ამ რეგიონში არის სომხეთი, რომელიც არის ყველაზე ღარიბი სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში. ოფიციალური ერევანი ცდილობს თავიანთი პრორუსული და პროდასავლური პოზიციების დაბალანსებას, მაგრამ რუსეთის ფედერაცია რჩება, როგორც მთავარ მოვაჭრე პარტნიორად, ასევე ეკონომიკურ და სამხედრო დახმარების წყაროდ. სომხეთის რესპუბლიკა გაწევრიანებული არის კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციაში. ამ ორგანიზაციის მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს წევრი-ქვეყნების ტერიტორიული- ეკონომიკური სივრცის დაცვას ჯარების ერთობლივი ძალისხმევით. ოფიციალური ერევანი გაწევრიანდა ორგანიზაციაში 1992 წლის 15 მაისს.

სომხეთისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციის და აზერბაიჯანის ურთიერთობებს არ შეიძლება დაერქვას სტაბილური. 1990-იან წლებში, ურთიერთობები ამ ორ სახელმწიფოს შორის იყო საკმაოდ დაძაბული, რადგან ოფიციალური კრემლი სომხეთის რესპუბლიკას უჭერდა მხარს მთიანი ყარაბახის კონფლიქტში და სომხეთის გაწევრიანება კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციაში, თავისი წვლილი შეიტანა რუსეთის ფედერაციასთან

ურთიერთობების არასტაბილურობაში. ასევე ამ ორი სახელმწიფოს დაძაბულობას წარმოადგენს აზერბაიჯანის მხრიდან ენერგორესურსების მიწოდების პროექტი ევროპის ქვეყნებისთვის. ეს პროექტი ცნობილია „სამხრეთის გაზის დერეფნის“ სახელით, რომელიც დღესდღეობით იმყოფება დასრულების სტადიაში და მოქმედებას დაიწყებს 2020 წლისთვის. „სამხრეთის გაზის დერეფანი“ დღესდღეობით ევროკავშირის ენერგეტიკული სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. ეს დერეფანი შეასრულებს როგორც, ეკონომიკურ, ასევე გეოპოლიტიკურ როლს. იგი მიზნად ისახავს ცენტრალური აზიის, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან სამხრეთ ევროპაში ენერგეტიკული ნაკადების კონსოლიდაციას. (დანართი 4)

ყველაზე პრობლემური ურთიერთობები ამ რეგიონში რუსეთის ფედერაციას აქვს საქართველოსთან. 2008 წელს კი ეს ურთიერთობები ომში გადაიზარდა. ოფიციალურ კრემლს სურს საქართველოზე გავლენის შენარჩუნება და მისი პროდასავლური ამბიციების შეზღუდვა, შიდა პოლიტიკურ სფეროზე ზეწოლით და ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერის გზით. ასევე ოფიციალურ მოსკოვს არ სურს NATO-ს გაფართოება, საქართველოს ალიანსში გაწევრიანებით.

NATO-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, საქართველოში ვიზიტის დროს, გააკეთა რამოდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება. მან აღნიშნა, რომ ოფიციალურმა თბილისმა ბევრი რამ გააკეთა ალიანსში ინტეგრაციისთვის და მას შეუძლია ჰქონდეს NATO-ს მხარდაჭერის იმედი. საქართველო უკვე დიდიხანია თანამშრომლობს NATO-სთან და ეს ურთიერთობები დაიწყო 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე, დიდი ხნით ადრე. 2009 წლის კონფლიქტის შემდეგ, საქართველომ, რომელმაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დაკარგა, კვლავ ლოცულობდა „NATO-ს ღმერთებს“. მაგალითად მონაწილეობდა ალიანსის ყველა წვრთნაში. 2019 წლის მარტში, საქართველოს ტერიტორიაზე გაიმართა სასარდლო- საშტაბო წვრთნა «NATO - Georgia Exercise 2019». იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, საქართველოს ოფიციალურ მთავრობასთან შეხვედრის დროს, რომ NATO მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს ე.წ. „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის

დამოუკიდებლობის აღიარება და გაიყვანოს ჯარები ამ ტერიტორიებიდან, რადგან ორივე რეგიონი საქართველოს ნაწილია საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. მსგავსი ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, საქართველო კიდევ დიდი ხანი ვერ გაწევრიანდება ალიანსში. ამის მიზეზი არის ის, რომ საქართველოს გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში პრობლემას შეუქმნის წევრ-სახელმწიფოებს და მათ ნაკლებად სურთ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დაძაბვა. ასევე საქართველოს გააჩნია სადავო ტერიტორიები, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახით, რომლებსაც ოფიციალური მოსკოვი დამოუკიდებლად აცხადებს. NATO-ს წევრი-სახელმწიფოები, თავის მხრივ, აღიარებენ საქართველოს ტერიტორიებად. აქედან გამომდინარე, ალიანსის ქარტიის მიხედვით, საქართველო ვერ გაწევრიანდება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. მხოლოდ საქართველოს და ვაშინგტონის სურვილზე არ არის დამოკიდებული, პირველის გაწევრიანება, ამისთვის ან საქართველომ უნდა აღიაროს დაკარგული ტერიტორიების დამოუკიდებლობა, ან NATO-მ უნდა შეცვალოს ქარტია, რაც ნაკლებად მოსალოდნელია.

რუსეთის ფედერაცია ატარებს სამხრეთ კავკასიაში „ნამცხვრის და მათრახის პოლიტიკას“. „მათრახს“ ის, როგორც წესი, იყენებს საქართველოსთვის და „ნამცხვარს“ სომხეთისთვის. 2008 წლის ომის დროს ოფიციალური კრემლის ქმედებების კანონიერების/უკანონობის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციას სურდა ძალის დემონსტრირება საქართველოსთვის. 2011 წელს რუსეთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აღიარა, რომ ოფიციალურ კრემლს სურდა საქართველოს NATO-ში შესვლის ამბიციების ჩახშობა, რომელიც დაკავშირებული იყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოძრაობასთან ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით.

მსგავს ვითარებაში აისახება კლასიკური რეალიზმის თეორია. ეს თეორია მიმართული არის სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე და თვითგადარჩენაზე. კლასიკური რეალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი არის ძველი საბერძნეთის ისტორიკოსი თუკიდიდე. მან თავის ნაშრომში, სახელწოდებით „ისტორია“, აღნიშნა, რომ ზოგი სახელმწიფო არის დიდი და

ძლიერი, ზოგი კი პატარა და სუსტი. ამ უთანასწორ ვითარებას ისტორიკოსი უწოდებდა გარდაუვალს და ბუნებრივს. ის ამბობდა, რომ სუსტი სახელმწიფოები, თვითგადარჩენის მიზნით, უნდა მოახდინონ ვითარებასთან ადაპტირება.

მისი ფილოსოფია ყველაზე კარგად ჩანს ეპიზოდიდან, რომელშიც აღწერილია დიალოგი ათენსა და მელოსს შორის. მელოსელების ლიდერებმა მიმართეს სამართლიანობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ძლევამოსილ ათენელებს პატივი უნდა ეცათ მათი დამოუკიდებლობისათვის, შეენარჩუნებინათ მათი რეპუტაცია და უარი ეთქვათ მათ დაპყრობაზე. მის პასუხად ათენელების პირით თუკიდიდე გადმოგვცემს თავის ფილოსოფიას რომელიც ნათლად ასახავს ფაქტს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არის ანარქიული, სადაც ცალკეულ სახელმწიფოებს არ აქვთ სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ მოიქცნენ ძალისმიერი პოლიტიკის პრინციპების თანახმად. ამასთანავე თვითგარდარჩნა არის უპირველესი ფასეულობა, რომელიც პატივსა და რეპუტაზიაზე მაღლა დგას და ომი არის ყოველივეს საბოლოო არბიტრი. ამგვარად, ათენელების პასუხი სუსტი მელოსისადმი არის ის, რომ სამართლიანობა საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებული ცნებაა. იგი არ გულისხმობს თანასწორუფლებიანობას არამედ იმას, თუ რამდენად კარგად იცი საკუთარი კუთვნილი ადგილი და რამდენად შეგიძლია ადაპტაცია მოახდინო სამყაროში რომლის რეალობა არის ძალთა უთანასწორობა. ,,სამართლის სტანდარტი დამოკიდებულია ძალის თანასწორობაზე... ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც შესწევთ და სუსტნი ურიგდებიან იმას, რასაც უნდა შეურიგდნენ.[34] [აკობია ე, 2006:17-18]

კლასიკური რეალიზმის თეორია აქტუალური არის რუსეთის ფედერაციის და კავკასიის რეგიონის მიმართებაში და ეს გამოიხატება შემდეგში. არსებობს დიდი და ძლიერი სახელმწიფო- რუსეთის ფედერაცია, მის მეზობლად არიან პატარა და სუსტი კავკასიის ქვეყნები. ოფიციალურ მოსკოვს სურს, რომ პატარა ქვეყნებმა გაატარონ, მისთვის ხელსაყრელი პოლიტიკა. იმისათვის, რომ მოხდეს კავკასიის

[34] აკობია ე., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006, გვ. 17-18

დამორჩილება, ის ახორციელებს დესტაბილიზაციურ დარტყმებს ამ რეგიონში, მაგალითად მთიანი ყარაბახის კონფლიქტი და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. იმ შემთხვევაში, თუ კავკასიის სახელმწიფოები დაემორჩილებიან რუსეთის ფედერაციას, ისინი, თუკიდიდეს თეორიის მიხედვით, გადარჩებიან.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეიძლება დასკვნის გამოტანა და პასუხის გაცემა თუ რას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ოპერატიული-სტრატეგიული სარდლობა „სამხრეთი“ კავკასიის რეგიონისთვის და გამოწვევების წინაშე აყენებს რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებები. კვლევაში გამოყენებული იყო ჰენრი დიტრიხ ბიულოვის და ჰენრი ჟომინის სამხედრო თეორიები, ასევე ასახული არის ძალთა ბალანსის, „ხისტი ძალის“ და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორიები. გამოყენებული იქნა „სექიურითიზაციის“ კონცეფცია. ზემოაღნიშნული თეორიებთან გაევლო პარალელი საერთაშორისო არენაზე არსებულ ვითარებასთან, რის შედეგადაც ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღევანდელი საერთაშორისო პრობლემები არ არის ახალი და მათი გადაჭრის „ინსტრუქცია“ დევს ძველი მკვლევრების და ფილოსოფოსების თეორიებში.

რა გავლენებით და ფაქტორებით განისაზღვრება რუსეთის ხელმძღვანელობის რეგიონული პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია სამხედრო- სტრატეგიულ კონტექსტში?

რუსეთის ფედერაცია ცდილობს კონტროლის შენარჩუნებას რეგიონებში. მას სურს, რომ მოსაზღვრე სახელმწიფოებმა გაატარონ ოფიციალური მოსკოვისთვის ხელსაყრელი პოლიტიკა. ოფიციალური კრემლი ცდილობს თავიანთი გავლენის გავრცელება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე, ვინაიდან ის წარმოადგენ დასავლეთის ქვეყნებისთვის მთავარ დაინტერესების ზონას. რუსეთის ფედერაციის რეგიონული პოლიტიკის შემუშავება, ასევე განისაზღვრება NATO-ს გაფართოებით აღმოსავლეთით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მოახდინა გაფართოება და რამოდენიმე რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე სახელმწიფო გახდა NATO-ს წევრი. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არის რუსეთის ფედერაციის ერთ- ერთი მთავარი მოწინააღმდეგე საერთაშორისო არენაზე. მისი გაფართოება აღმოსავლეთით წარმოადგენს მთავარ საფრთხეს რუსეთის ფედერაციის ეროვნულ უსაფრთხოებისთვის. NATO-ს პირველი გაფართოების შედეგად, 1952 წელს, ალიანსში გაწევრიანდა თურქეთი, რომლის გეოგრაფიული მდებარეობა

რუსეთის ფედერაციასთან ახლოსაა. 1952 წლიდან თურქეთი წარმოადგენდა საფრთხეს საბჭოთა კავშირისთვის. დღესდღეობით კი, თურქეთთან ერთად ალიანსში გაწევრიანებულია კიდევ 5 სახელმწიფო, რომლებსაც სახმელეთო საზღვარი გააჩნიათ რუსეთის ფედერაციასთან. ეს ქვეყნები არიან: ლატვია, ლიტვა, ნორვეგია, პოლონეთი, ესტონეთი. აქედან გამომდინარე ოფიციალური მოსკოვი არ დაუშვებს NATO-ს გაფართოებას კავკასიის რეგიონში.

რუსეთის ფედერაცია ცდილობს დესტაბილიზაციის ჩანერგვას სამხრეთ კავკასიის რეგიონში არაპირდაპირი და ფარული მოქმედებების მეშვეობით. ის ხელს უწყობს რეგიონული კონფლიქტების გაღვივებას და ეს აისახება მთიანი ყარაბახის კონფლიქტში და აფხაზეთში და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ სეპარატისტული დაჯგუფებების ჩანერგვაში, რომლის მეშვეობითაც საქართველომ დაკარგა ორი რეგიონი.

კავკასიის რეგიონი წარმოადგენს რუსეთის ფედერაციისთვის სასიცოცხლო მნიშვნელოვან ზონას და ის არ დაუშვებს ამ რეგიონში დასავლეთის სახელმწიფოების ინტერესების განვითარებას. ის სხვადასხვა გზით ცდილობს ჩამოაყალიბოს უარყოფითი ურთიერთობები კავკასიის სახელმწიფოებს შორის.

რუსეთის ფედერაციის აგრესიული რეგიონული პოლიტიკის შემუშავება, დაფუძნებულია ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. დღესდღეობით კი, მისი უმეტესი რეგიონები საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ეს აისახება მოსაზღვრე სახელმწიფოებში „ფერადი რევოლუციების“ ჩატარებაში, რომლის საფუძველში დევს პროდასავლური პოლიტიკის გამართვა ამა თუ იმ რეგიონში. ოფიციალური მოსკოვი არაფრის წინაშე არ გაჩერდება და ყველანაირ ხერხს გამოიყენებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავიანთი სახელმწიფოს უსაფრთხოება.

რატომ განიხილება რუსეთის ოპერატიული- სტრატეგიული სარდლობა, როგორც ასიმეტრიული გამოწვევა და რა ფაქტორები უწყობს ხელს ამას?

დღესდღეობით, რუსეთის ფედერაციის ოპერატიული- სტრატეგიული სარდლობა ამზადებს სახელმწიფოს საომარ მოქმედებებისთვის მუდმივ მზაობის

პირობებისთვის. ოფიციალური მოსკოვი განიხილავს, როგორც მთავარ მოწინააღმდეგეებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, ევროკავშირს და სხვა საერთაშორისო აქტორებს, რომლებიც ხელს უშლიან რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის გატარებას.

ოფიციალური მოსკოვი ცდილობს თავიანთი პოლიტიკის გავრცელებას მთელ მსოფლიოში და ამაში მას ხელს უშლიან ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტორები. რუსეთის ფედერაცია, ასიმეტრიული მეთოდების გამოყენების, მოახდინა გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, რომელიც აისახება, მაგალითად, საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებაში. ასევე ოფიციალური მოსკოვის „ხელი ურევია“ ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნებში, რომლის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა დაძაბული ვითარება.

რუსეთის ფედერაციის ოპერატიული- სტრატეგიული სარდლობის მიზანი არის თავიანთი ეროვნული უსაფრთხოების დაცვა და ქვეყნის გეოსტრატეგიული ამბიციების განხორციელება. ოფიციალური მოსკოვისა და სხვა საერთაშორისო აქტორების ინტერესები განსხვავდება. რუსეთის ფედერაცია კი არ დაიხევს და ყველანაირ საშუალებას გამოიყენებს თავიანთი მიზნების მისაღწევად.

ის დიდ წარმატებას მიაღწია „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის გამოყენებაში. ოფიციალურმა კრემლმა, დღესდღეობით, მრავალი მიზნის რეალიზება მოახდინა ამ სტრატეგიით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციის ოპერატიული- სტრატეგიული სარდლობა წარმოადგენს ასიმეტრიულ საფრთხეს სხვადასხვა რეგიონებისთვის.

რა გავლენას ახდენს ეროვნული თავდაცვის დაგეგმარება რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაზე?

რუსეთის ფედერაციის 2015 წლის სამხედრო დოქტრინის განახლებულ ვერსიაში აისახება თუ, როგორ გადაიკვეთება ქვეყნის თავდაცვის დაგეგმარება და საგარეო პოლიტიკა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაცია პასიურობდა საერთაშორისო არენაზე, მაგრამ დღესდღეობით ის აქტიურად არის

ჩართული საერთაშორისო პოლიტიკაში და აქვს წამყვანი როლის დაკავების ამბიციები.

რუსეთის ფედერაციის განახლებულ სამხედრო დოქტრინის ერთ-ერთ მუხლში წერია, რომ ის სახელმწიფო, რომელიც ატარებს ქვეყანაში ანტირუსულ პოლიტიკას, ჩაითვლება მტრად. აქედან გამომდინარე, ვერცერთი ქვეყანა ვერ გაატარებს თავისთვის სასურველ პოლიტიკას იმიტომ, რომ ის შეიძლება გადაეკვეთოს რუსეთის ფედერაციის ინტერესებს. სამხედრო დოქტრინის ეს მუხლი გვიჩვენებს, თუ როგორ გადაიკვეთება ქვეყნის ეროვნული თავდაცვის დაგეგმარება და საგარეო პოლიტიკა.

ასევე, ამ ორი სფეროს გადაკვეთა აისახება რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკულ პოლიტიკაში. ნავთობისა და გაზის ექსპორტი სხვადასხვა სახელმწიფოში არის ოფიციალური მოსკოვის ძირითადი შემოსავლის წყარო. სირიაში ჩატარებულმა სამხედრო კამპანიამ აჩვენა, რომ ოფიციალური კრემლი არ დაუშვებს კონკურენტის გაჩენას კატარის სახელმწიფოს სახით, რომელიც გამოიწვევდა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის დასუსტებას.

რაც შეეხება ჰიპოთეზას, გასული საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდეგ, დაიწყო რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება და განვითარება. ამაში დიდი როლი ითამაშა ე.წ. „ხისტი ძალის“ ფაქტორმა, რომელსაც ოფიციალური კრემლი იყენებს ეროვნული უსაფრთხოების პროცესის დაგეგმვის საქმეში. ოფიციალური კრემლის „ხისტი“ მეთოდების გამოყენება განსაზღვრავს სახელმწიფოს აგრესიულ, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის ამოცანების და მიზნების შემუშავებას და რეალიზაციას საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ფარგლებში. რუსეთის ფედერაცია, თავიანთი გეოსტრატეგიული ამბიციების დასაკმაყოფილებლად, იყენებს არაპირდაპირ, ფარულ და „ეშმაკურ“ მეთოდებს, „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიის სახით. ოფიციალური კრემლი, თავის ქმედებებით, ცდილობს მთავარი მოთამაშის პოზიციაზე აღიმართოს საერთაშორისო პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე არ არის გასაკვირი, თუ რატომ

არის ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკა აგრესიული. ის ცდილობს თავიანთი გავლენის ქვეშ მოახვედროს მსოფლიოს წამყვანი აქტორები და გამართოს თავისთვის ხელსაყრელი პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1) აკობია ე., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006, გვ. 17-18;

2) მაღრაძე გ., მაისაია ვ. ,,21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების‘‘ თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები‘‘, „უნივერსალი“, თბილისი, 2017, გვ. 75-76; 120-121; 125-126;

3) შეშაბერიძე თ., სამაგისტრო ნაშრომი: „კლასიკური სამხედრო სტრატეგიები და მათი გეოსტრატეგიული მოდელები XXI საუკუნეში აშშ-ს და რუსეთის ფედერაციის მაგალითზე“, გვ. 72-74, თბილისი 2018;

4) ცხადაძე ნ., საერთაშირუსო ურთიერთობების ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომი „ჰიბრიდული ომი- რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები 1917 წლიდან - 2014 წლამდე“, თბილისი 2019, გვ.5-6,;

5) ჭოველიძე ს., ნაშრომი: „რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი“, თბილისი, 2018, გვ. 3-4;

6) Herz J., “Idealist Internationalism and the Security Dilemma”, Cambridge University Press, 1950, pp. 157-180;

7) Lucas E. “The New Cold War- Putin’s Threat to Russia and the West”, Bloomsbury, Great Britain, 2014;

8) Указ Президента Российской Федерации о Стратегии национальной безопасности Российской Федерации, №683, Москва, Кремль, 31 декабря 2015 года, стр. 3-8;

9) ახალაია ბ. „რუსული სამხედრო დოქტრინა – გამოცხადებული იმპერიალიზმის ქრონიკა“, https://bachoakhalaia.org/2017/11/30/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D-

%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90/, 30/11/2017, გვ.1;

10) ბალანიშვილი გ. "რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და საქართველოს უსაფრთხოების სისტემა", https://www.gfsis.org/ge/blog/view/781, თბილისი, 04/01/2018, გვ.1;

11) ბასილაია ე, „რუსები საქართველოს საზღვართან დამატებით 2 დივიზიას განათავსებენ", http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=65285, 11/02/2019, გვ.1;

12) ბურჭულაძე ნ., „"ტერორისტთა მუქარა ნამდვილად რეალური იყო" - ექსკლუზიური ინტერვიუ კონტრტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელთან", https://www.kvirispalitra.ge/versia/48253-qteroristtha-muqara, 19/11/2018, გვ.1;

13) გოგოლიძე ი., „უსაფრთოების დილემა და გლობალური გამოწვევები", https://www.atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/NewPublic/GogolidzeIrma.pdf, გვ.2.;

14) იურინი ა., „უსაფრთხოების კონცეფციის გააზრებისთვის: ვინ და როგორ განსაზღვრავს საფრთხეს დღეს?", http://regional-dialogue.com/security-2/, 14/06/2016, გვ.1;

15) ნაცვლიშვილი ი. „ვახტანგ მაისაია: რუსეთი არა მარტო გვემუქრება, არამედ ჰიბრიდულ ომს აგრძელებს ჩვენს წინააღმდეგ", https://ipress.ge/new/vakhtang-maisaia-rusethi-ara-marto-gvemuqreba, 13/12/2018, გვ.1;

16) ნაცვლიშვილი ი., „ვახტანგ მაისაია: რუსეთი ამზადებს სამხედრო პროვოკაციას და ეს დასავლეთს კარგად უნდა ავუხსნათ", https://ipress.ge/new/vakhtang-maisaia-ruseti-amzadebs-samkhedro-provokacias-da-es-dasavlets-kargad-unda-avukhsnat/, 08/10/2018, გვ.1;

17) რატიანი მ. „ევროკავშირის როლი კონფლიქტების დარეგულირების სფეროში", http://intermedia.ge/სტატია/58187, 28/01/2015, გვ.1;

18) სინიოვა ა., „რეალიზმის თეორია — კარლ ფონ კლაუზევიცის მიდგომა“, https://asiniova.wordpress.com/2015/12/22/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A-%E1%83%A4%E1%83%9D/, 22/12/2015, გვ.1;

19) სტატია: Revolution in Military Affairs; https://en.wikipedia.org/wiki/Revolution_in_Military_Affairs, ბოლო რედაქტირება: 23/05/2019,p.1;

20) Hains T., “Mueller Makes First Statement: "The Report Is My Testimony," I Hope This Is The Only Time I Speak”, https://www.realclearpolitics.com/video/2019/05/29/watch_live_special_counsel_robert_mueller_to_make_statement.html, 29/05/2019, p.1.

21) Ruiz R., Landler M. “Robert Mueller, Former F.B.I. Director, Is Named Special Counsel for Russia Investigation”, https://www.nytimes.com/2017/05/17/us/politics/robert-mueller-special-counsel-russia-investigation.html, 17/05/2015, p.1;

22) Аксенов П.; „"Толпа необученных мальчишек": как грузинская война вскрыла проблемы российской армии“; https://www.bbc.com/russian/features-44690384; цитата: Бабченко А.- военный журналист, стр.1;

23) Акылбеков К. «Военная политика России И реформирование армии в период президенства В.В. Путина (2000-2008 ГГ.)», https://cyberleninka.ru/article/n/voennaya-politika-rossii-i-reformirovanie-armii-v-period-prezidentstva-v-v-putina-2000-2008-gg, 2017, стр.1;

24) Амелина Я., «Стратегия России на Кавказе: идеология и «русский вопрос», https://riss.ru/smi/16626/, 08/05/2015, стр. 1;

25) Бартош А., «Россия в эпоху гибридных войн», https://topwar.ru/127771-rossiya-v-epohu-gibridnyh-voyn.html, 23/10/2017; стр.1;

26) Бурнос Т., ««Бессмертный полк» и гибридная война России против Украины», https://www.golos-ameriki.ru/a/victory-day-in-ukraine-and-russia/4902950.html, 03/05/2019, стр.1;

27) Вальченко С., «Эксперт рассказал, как Россия помешает Грузии вступить в НАТО, Альянс не захочет ради Тбилиси конфликтовать с Москвой», https://www.mk.ru/politics/2019/03/25/ekspert-rasskazal-kak-rossiya-pomeshaet-gruzii-vstupit-v-nato.html, 25/03/2019, стр.1;

28) Герасимов В. «Ценность науки в предвидении», https://www.vpk-news.ru/articles/14632, 26.02.2013, стр.1;

29) Денисенко В., «Пружина напряженности на Северном Кавказе», https://inosmi.ru/russia/20121008/200542716.html, 08/10/2012, стр.1;

30) Зилпимиани Л., «Тень сталинизма над Кавказом», https://inosmi.ru/politic/20130207/205573023.html, 07/02/2013, стр.1;

31) Зораб. Р., «Гибридная война: реальное явление или исторический миф?», https://naked-science.ru/article/history/gibridnaya-voyna-realnoe-yavlenie, 27/06/2017, стр.1;

32) Кортунов А., «Почему мир не становится многополярным», https://globalaffairs.ru/global-processes/Pochemu-mir-ne-stanovitsya-mnogopolyarnym-19635, 26/06/2018, стр.1;

33) Леонтьев М., «Политика России на Кавказе: успех или провал?», http://www.odnako.org/magazine/material/politika-rossii-na-kavkaze-uspeh-ili-proval/, 2011, стр.1;

34) Маркедонов С., «Южный Кавказ и Россия: взгляд из Москвы на итоги 2018 года», https://sputnik-georgia.ru/columnists/20181230/243711901, 30/12/2018, стр.1;

35) Рябов К. «Новая Военная доктрина Российской Федерации», https://topwar.ru/66527-novaya-voennaya-doktrina-rossiyskoy-federacii.html, 13/01/2015, стр.1;

36) Яшин И., «Угроза национальной безопасности», https://newtimes.ru/articles/detail/107961, 20/02/2016, стр.1;

დანართები

დანართი 1



დანართი 2

დანართი 3

დანართი 4